სარჯიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 18 თებერვალი 1999 №28 (801) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 ლიპი თუ ჰიდინკი: ვის დარჩება კალაძე?

ქართველი ნახევარმცველის თაობაზე კიევის „დინამოს“ მადრიდის „რეალმა“ და მილანის „ინტერმა“ მიმართეს

5 კანტონამ ბესტს და ჩარლტონს აჯობა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივართა აზრით, კლუბის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი ერიკ კანტონაა

7 ამბავი ოქროს პასისა

ქართველში საჭიდაო ნაკლებში

გელა კეტაშვილი

ის იყო ერთადერთი: ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში

8 წაუგებელი სტეფანიას სიეტლიღაა



REUTERS ლონდონიდან

კიგანის საოცარი კონტრაქტი

კევინ კიგანმა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ, წუხელ, საზოგადოებრიობა გააოცეს: როგორც მოსალოდნელი იყო, ევროპის 1978 და 1979 წლების საუკეთესო ფეხბურთელი მართლაც დაინიშნა ქვეყნის ეროვნული გუნდის მწვრთნელად, მაგრამ... ოთხი თამაშით.

როგორც ასოციაციის აღმასრულებელმა შეფმა დევიდ დევისმა განაცხადა, კიგანმა თანამდებობის დროებით დაკავებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ ხანგრძლივ კონტრაქტზე უარი თქვა, რადგან, მომავალ სეზონში, კვლავ მეორე დივიზიონის გუნდ „ფულემში“ აპირებს მუშაობას.

ამრიგად, კიგანი ინგლისის ნაკრებს ევრო 2000-ის შესარჩევ სამ შეხვედრაში, პოლონეთის, შვედეთისა და ბულგარეთის წინააღმდეგ უხელმძღვანელებს. მეოთხე მატჩი, რომელსაც ის უნდა გაუძღვეს, ამხანაგურია და მასში ინგლისელთა მეტოქე უნგრეთის ეროვნული გუნდი იქნება.

ბრიტანული პრესა, რომელიც „ლივერპულისა“ და „ჰამბურგის“ ყოფილ ვარსკვლავს პოსტიდან გადამდგარი გლენ ჰოდლის უპირობო მემკვიდრედ მიიჩნევდა, არ ელოდა, რომ კიგანი ეგვიპტელი მილიონერის, მოჰამედ ალ ფაედის კლუბისადმი ასეთ ერთგულებას გამოიჩენდა და ისურვებდა იქ კონტრაქტის ბოლომდე ანუ 2000 წლის ზაფხულამდე დარჩენას. ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლებთან საუბრისას მას უთქვამს, რომ „ფულემის“ პრემიერლიგაში აღზევებაზე ოცნებობს.

„კიგანის ერთგულება კონტრაქტისადმი პატივისცემის გრძნობას იწვევს“ — განაცხადა დევისმა.

პირველი მატჩი, რომელიც ნაკრების ახალ მწვრთნელს უწევს, 27 მარტს, პოლონეთის წინააღმდეგ გაიმართება.

წერილი კევინ კიგანის შესახებ იხილეთ მუხუთე გვერდზე

გუცაევი უკრაინასთან სომრად ემზადება

20 მარტს, სლოვენიასთან ოფიციალურ მატჩამდე ერთი კვირით ადრე, საქართველოს ნაკრები წლეულს პირველ და, ალბათ, ერთადერთ მოსამზადებელ შეხვედრას გამართავს. ნაკრების თავკაცი ვლადიმერ გუცაევი უკრაინელებთან თამაშს სხვა მნიშვნელობასაც ანიჭებს — შარშან კიევში 0:4 განადგურებსთვის ჯავრის უნდა ვიყაროთო.

ინტერვიუ ვლადიმერ გუცაევთან იხილეთ მეორე გვერდზე

გაფდრი ჯეფლაძის ფოტო

ყურადღება! ყურადღება! ლაპარაკობს და... ჯერ მხოლოდ ლაპარაკობს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის IV ყრილობის წინ, მომავალმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თავის საარჩევნო პროგრამის გამომზეურებისას „სარბიელს“ ესეც განუცხადა: „ჩემი დიდი სურვილია, ქვეყნის ჩემპიონატისადმი ინტერესი ერთი ორად გაიზარდოს. კარგი იქნება, თუ სამომავლოდ მაღალ დონეზე გაშუქდება ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრები და ტელევიზიით გადაიცემა. თუ პრეზიდენტი გავხდები, ამის გასაკეთებლად ყველა ღონეს ვიხმარ.“

მერაბ ჟორდანია სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის და იმედს ვიტოვებთ, რომ ამ მოსაზრებასაც შეასხამს ხორცს. მანამდე კი, სანამ ქართველი გულშემატკივარი ჩვენი დაგლახავებული ჩემპიონატის მატჩების რეპორტაჟებს იხილავს, ფედერაციის მესვეურნი საქართველოს პირველობის პოპულარიზაციისთვის (აქამდეც მივიდა საქმე) პირველ ნაბიჯებს დგამენ.

მოკლედ, ასეა — რამდენიმე დღის წინ ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანია „რადიო საქართველოს“ (მასში რადიო „ფორტუნა“ და რადიო „ერა“ არიან გაერთიანებული) შორის შეთანხმება დაიდო. 20 თებერვლიდან (როცა საქართველოს თასის მეოთხედფინალის პირველი შეხვედრები გაიმართება) ქართველ გულშემატკივარს საშუალება ექნება, ქვეყნის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩების მსვლელობას დაუგდოს ყური..

ეს ჩვეულებრივი რადიოგადაცემა იქნება. პრინციპი მარტივია — საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მიმდინარე შეხვედრების პერიპეტიებს გულშემატკივარი რადიო „ფორტუნასა“ და რადიო „ერას“ საშუალებით გაეცნობა.

ამ იდეის ინიციატორი ბატონი გოგა ხაინდრავა გახლავთ და „რადიო საქართველოს“ წინადადებას ფედერაცია გულისყურით მოჰკიდებია. მსგავსი რამ ჩვენში შარშანაც იყო. ოღონდ მაშინ რადიოჩართვებს დროდადრო „რადიო-2“ ახორციელებდა.

მოკლედ, გოგა ხაინდრავა ანატოლი მილჩენკოსაც შეხვედრია და ამ არცთუ ახალი წამოწყების თაობაზე გასაუბრებია. სად რადიოსადგური და სად მსაჯთა კომიტეტის თავკაცი, იკითხავთ. საქმე ისაა, რომ მთავარ როლს სწორედ ეს კომიტეტი და ფირმა „მეგაკომი“ ასრულებს. „მეგაკომის“ ფუნქცია თავისთავად ნათელია, სფფ-ს ახალშენაძენი მფარველი სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს და მატჩის პერიპეტიებს მავანი დიქტორის ხმით რადიოსადგურს მიაწვდის. აი, ეს მავანი კი, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, მსაჯთა კომიტეტის წარმომადგენელი იქნება — რადიოსადგურს ფედერაციიდან ამა თუ იმ შეხვედრაზე მივლენილი მატჩის კომისარი გადასცემს ინფორმაციას, მეტიც, პირდაპირ ეთერში მსმენელს სწორედ იგი წარუდგება ერთგვარი ანგარიშით.

ამას წინათ ანატოლი მილჩენკომ თქვა, ასაკი რომ ხელს მიწყობდეს, ჩემს ახლანდელ თანამდებობას მსაჯობასაც შევუთავსებდი, მონდომება ნამდვილად არ მაკლიაო.

ბატონ ანატოლის ახლახან პრაქტიკულთეორიულატესტირებული კოლეგების წყალობით ამგვარად გარჯა ნამდვილად არ მოუწევს, მაგრამ ამჟამინდელ თანამდებობასთან სხვა საქმის შეთავსება ნამდვილად დასჭირდება და ეს, ალბათ, რადიოჟურნალისტობა იქნება. თასის მეოთხედფინალის უმთავრეს შეხვედრაში („ლოკომოტივი“ — „ბათუმი“) ბატონი ანატოლი თავად გამწესდა კომისრად.

კომპანია „რადიო საქართველოსა“ და ფედერაციის საერთო გეგმებზე ერთსაც ვიტყვით. ბატონ გოგა ხაინდრავას თქმით, გადაწყვეტილია არა მარტო შიდა ჩემპიონატის მატჩების, არამედ საქართველოს ნაკრებისა და ქართული საფეხბურთო კულბების საევროთასო შეხვედრების გაშუქებაც.

პაატა კვანტალიანი

დინამო: მზეო, ამოდი, ამოდი!..

უკვე შვიდი დღეა, რაც თბილისის „დინამო“ ბელგიაში შეკრებაზე იმყოფება. ამასობაში ჩვენებურებმა სამი საკონტროლო მატჩის გამართვა მოასწრეს.

გუშინ საღამოს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრ, დინამოელ მიხეილ ასათიანს დავუკავშირდით და შეხვედრებისა და მზადების შესახებ გავესაუბრეთ. როგორც ასათიანმა გვითხრა ბელგიაში ძალიან ცუდი ამინდები დაუხვდათ. საქართველოს ჩემპიონები იძულებულნი გამხდარან პირველ დღეებში დარბაზში ევარჯიშათ.

სწორედ უამინდობაში გაუმართავთ შეხვედრა ბელგიის მესამე ლიგის ერთ-ერთ გუნდთან და 0:1 დამარცხებულან. ცუდი პირობების გამო მატჩი 35-35 წუთიან ტაიმებად უთამაშიათ.

— სულ ორი დღეა რაც გამოიდარა და შედარებით კარგ პირობებში მოგვიწია სხვა შეხვედრების გამართვა. გუშინ პირველლიგელ „ლიერს“ ვეპაექრეთ. კობა წიტაიშვილის გოლის წყალობით 1:0 მოვუგეთ. დღეს კი „ვესტერლოს“ გავეჯიბრეთ და დიდი ანგარიშით, 3:0 დავამარცხეთ. ერთი ბურთი პაატა ჯინჭარაძემ, ორი კი გიორგი შენგელიამ გაიტანა — გვითხრა მიხეილ ასათიანმა.

ბელგიაში დიდთოვლობა და საშინელი ყინვები დაუჭერია. „დინამოს“ კიდევ რამდენიმე საკონტროლო მატჩი აქვს დაგეგმილი, ოღონდ ეგაა, ბუნებამაც თუ უშველა...

ხვიჩა სანიძიძე

გადრი კვითელაძის ფოტო

გიორგი შენგელიამ (შუაში) ბელგიურ „ვესტერლოს“ დუბლი გაუტანა



გუცაევი უკრაინასთან საომრად ემზადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამნაშავის ძებნას აზრი აღარ აქვს. ფაქტია, საქართველოს ეროვნულ გუნდს ტაილანდის ტურნირში მონაწილეობა ჩაეშალა. კარგი იქნება, თუ ჩვენებურები ამ მწარე მაგალითს გაითვალისწინებენ და ისეთ უფხო მენეჯერთან, როგორიც ტაილანდში თამაშის ვითომ გამჩარხველი მავანი გერმანელი იყო, საქმეს აღარ დაიჭერენ.

ახლა გვიანია თითზე კბენანი.ვისაც ჯერ არს,თავის დროზე უნდა ეფიქრა და ეზრუნა. ამხანაგური თამაშები ადრევე იგეგმება. მხოლოდ ერთი მხარის სურვილზე ბევრი არაფერია დამოკიდებული. იშვიათად, ორიოდ დღეში ვინმეს შეუთანხმდე, სად, როდის ეთამაშო.

არადა, ასეთია ცხოვრება: კაცს როცა შანსი გაქვს, ხელიდან არ უნდა გაუშვა. მაშინვე უნდა გამოიყენო, რათა მერე არ ინანო, თავში ხელები არ ნაიშინო, ადრე სად ვიყავიო.

სწორედ ეს სჭირს დღეს ჩვენს ნაკრებს. ესტონელებთან შეხვედრას არ ვთვლით და, ეროვნულმა ბოლოს 14 ოქტომბერს ითამაშა. მას შემდეგ ოთხ თვეზე მეტი გავიდა, უახლოეს მატჩამდე კი თვეზე მეტი დარჩა.

ახლა რუმინეთი და კვიპროსი გაიხსენეთ. ნუთუ არ შეიძლებოდა, მათთან მაშინვე შეთანხმებულიყვნენ და საპასუხო მატჩების თარიღებზე მორიგებულიყვნენ? ისევე, როგორც უკრაინასთან მოხდა. არა, თავის გასამართლებლად ის არგუმენტი არ ივარგებს, რუმინელებთან თამაში გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ის დღე იუარესო. 1996 წელსვე რომ დაეთქვათ მეორე მატჩის ჩატარების დრო, ასე არ მოხდებოდა. კვიპროსზე აღარაფერს ვამბობთ, არაფერი ისმის და იმიტომ.

ერთსაც დააკვირდით: რამდენი მატჩი ითამაშეს ჩვენმა თანაჯგუფელებმა? ლამისაა თვე არ ჩააგდონ. ყველასთან, სადაც ხელი მიუნვდებათ, იქ თამაშობენ. ქართველები? კიდევ კარგი, ფედერაციის შემადგენლობა შეიცვალა, თორემ ესტონელებთანაც ვერ ითამაშებდნენ. მაშინდელმა ჩინოსნებმა ბალტიისპირელებს მასპინძლობაზე უარი შეუთვალეს.

მერე მოატანს ოფიციალური თამაშების დროც. ღმერთმა დაგვიფაროს და, მოგვიგონ სლოვენიელებმა, ნორვეგიელებმა, ბერძნებმა... ნაგების ერთ-ერთი მიზეზი მეტოქეთა უკეთ შეთამაშება იქნება. ფეხბურთელი პარტნიორს რომ გაეჩვევა, კარგადაც ახსოვს მისი ავ-კარგი, შესაძლებლობები.ეცოდინება,რომ,ვთქვათ, ის თავით ვერ თამაშობს და დაზღვევა სჭირდება...

თუმცა არა! ჩვენ მაინც ჩვენებურებისა გვჯეროდეს. გვჯეროდეს, რომ ნაკრებში ხუთი თვის უთამაშებლები ჯერ უკრაინას მოუგებენ, მერე სლოვენიას. დანარჩენებზე კი, დრო რომ მოვა, მაშინ ვთქვათ.

სამწუხარო კია, აქამდე ამხანაგური მატჩი რომ ვერ გახერხდა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია რეალობა და გვინდა, არ გვინდა, უნდა შევეგუოთ.

ამ ყოველივეზე ჩვენი ნაკრების მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევიც ნუხს, თუმცა კვლავაც ოპტიმისტურადაა განწყობილი და ზემოთქმულის გარდა „სარბიელს“ უახლოეს მეტოქეებზეც გაუზიარა აზრი

— ბევრს ვმუშაობდით, დღესაც ასე ვაგრძელებთ, ქვეყანა არ დაგვიტოვებია უთხოვნელად, მაგრამ ჯერ არაფერი გამოგვივიდა. მეტად საძნელო საქმეა ამხანაგური მატჩის მაშინ დანიშვნა, როცა ჩვენ მოგვინდება. სხვისიც გასათვალისწინებელია, თითქმის ყველას ორი-სამი წლით ადრე აქვს კალენდარი დაგეგმილი.

— 20 მარტამდეც არაფერი ჩანს?

— ჯერჯერობით არაფერი. ვნახოთ, ეგებ რამე გამოვიდეს.

— თუ სლოვენიამდე ამანაგური მატჩი არ მოხერხდა, მხოლოდ უკრაინელებთან თამაში საკმარისი იქნება?

— საკმარისის რა გითხრათ, მაგრამ მთლად უსაშველოსაც ვერაფერს ვხედავ. სლოვენიასთან მატჩისას შემადგენლობის მთლიანად გადახალისებას არ ვაპირებ და ვინც 27-ში ითამაშებს, მათთვის ერთი კვირით ადრე ნათამაშევი შესათამაშებლად და სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტების დასამუშავებლად კარგი, სასარგებლოც კი იქნება.

თუმცა არის მეორე პრობლემა. 20 მარტი იმ კალენდარში არაა შეტანილი, რომელიც უეფამ ამხანაგური მატჩებისთვის დაადგინა. შეიძლება ქართველი ლეგიონერები კლუბებმა არ გამოუშვან, პრეტენზიები გამოთქვან. თანაც, როცა ეროვნული ჩემპიონატების კალენდრებს ჩავხედე, ამ დღეს თითქმის ყველა ქვეყანაში ტურია დანიშნული.

— აბა, რას იზამთ? უკრაინასაც ექსპერიმენტულ შემადგენლობას დაახვედრებთ?

— არა, რაღაც უნდა მოვიფიქროთ. პირველ ყოვლისა, ეს თავად ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. თუ ნაკრებში ჩამოსვლა ძალიან მონდომეს, კლუბები ვერაფერს გააწყობენ. უკრაინელებთან შარშანდელი ანგარიშები გვაქვს, სასტიკად უნდა ვიძიოთ შური. გახსოვთ, კიევში როგორ მოგვიგეს? ჰოდა, უკრაინას უნდა ვეომოთ, ჭკუა ვასწავლოთ. იმ მარცხს არ შევარჩენთ. რადაც უნდა .დაგვიჯდეს, მოვუგებთ.

— კარგია, ასე რომ ფიქრობთ, მაგრამ უთამაშებელ ნაკრებს...

— თუ ბიჭები იბრძოლებენ, რაც მათთვის არაერთხელ მითქვამს, თავს დადებენ და გამომყვებიან, შეუძლებელი არაფერია. დავალება ბოლომდე უნდა შეასრულონ და თავადაც კმაყოფილი დარჩებიან. რომელი ერთია შევჩენკოზე, ანაც რებროვზე ნაკლები? ჩვენებმა უნდა მოინდომონ.

— სლოვენიის თამაშამდე ფეხბურთელებს კლუბებში აღარ დააბრუნებთ?

— არა. შეკრებაზე ვიქნებით და კიდევ ერთი კვირა ერთად მოვეზადებით. რა აზრი აქვს მათ წასვლას, მეორე დღესვე უკან უნდა დაბრუნდნენ.

— ფეხბურთელთა გამოძახების გარდა სხვა პრობლემაც გექნებათ. იაშვილი ტრავმირებულია, შეყილაძეც, ქინქლაძე უთამაშებელია, ჯამარაულმა ახლახან მოძებნა კლუბი, ქეცბაიამ სულაც იუარა ნაკრები, შოთა არველაძეს ფეხი ბოლომდე არ მოშუშებია, ტრავმა კიდევ აწუხებს...

— 20 მარტამდე, მით უფრო 27-მდე, საკმაო დროა. დარწმუნებული ვარ, ერთ თვეში შეყილაძე და შოთა არველაძე მომჯობინდებიან, ჯამარაული სათამაშო პრაქტიკას მიიღებს, ქინქლაძეც, ალბათ, ახალ კლუბს მოძებნის. ჩვენ ნაკრებში ჯანმრთელი და კარგ ფორმაში მყოფი ფეხბურთელები გვჭირდება. ძალიან გამახარა შოთას მონდომებამ, მტკივანი ფეხით ერთ ტაიმს მაინც თამაშობს, აგერ ჰოლანდიის თასზე ლამაზი გოლიც შეაგდო და ერთი საგოლე პასიც გააკეთა. ასეა, როცა მოინდომებ, წინ ვერაფერი დაგიდგება. ქეცბაიას უარის თაობაზე კი ჩემი აზრი ადრეც გამოვთქვი — თუ ნაკრებში არ უნდა, არ დავაძალებთ.

— რაც უნდა იყოს, უკრაინასთან ამხანაგური მატჩია. სლოვენიელებზე თუ გაქვთ საკმაო ინფორმაცია?

— ბერძნებთან და ლატვიელებთან მათი მატჩების ვიდეოფირები მაქვს. ამას წინათ ვუყურე და დავასკვენი, რომ სლოვენია საშუალო ევროპული კლასის გუნდია. თამაშობენ ათლეტურ, ძალისმიერ ფეხბურთს, რაც ფიზიკურ მომზადებასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ათენში თამაში მთლიანად კონტრშეტევებზე ჰქონდათ აგებული და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. მართალია, შინ, როცა ლატვიელებს უმასპინძლეს, გაცილებით მეტს უტევდნენ, მაგრამ რამდენიმე ეპიზოდში ისეთი სწრაფი კონტრშეტევები განახორციელეს, რომ გამიკვირდა კიდეც. შემიძლია გითხრათ, სლოვენია თბილისშიც ათენის მსგავსად ითამაშებს, ყველ შემთხვევაში, ახლა ასე მგონია. მათი თავდამსხმელების შემყურე, ვფიქრობ, რომ ასე უფრო ეხერხებათ. სლოვენიის უპირველესი იარაღი სწრაფი კონტრშეტევაა.

— დაბოლოს, ერთიც. დეკემბრის ბოლოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს შეხვდით. ვიცით, რომ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები გქონდათ და გულახდილად ისაუბრეთ. როგორ გგონიათ, წაადგება მაშინდელი შეხვედრა საერთო საქმეს თუ პირიქით?

— უეჭველად წაადგება. მართლაც ალალად ვილაპარაკეთ, ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანიც იქვე იყვნენ. რასაც ვფიქრობდი, ფეხბურთელებს ყველაფერი ვუთხარი, არც მათ დაუშალავთ სათქმელი. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ შეხვედრას ნაკრების ყველა წევრი არ ესწრებოდა, ზოგმა თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

თქმა არ უნდა, მაშინდელი დიალოგი მეტ სტიმულს მოგვცემს. საერთო აზრამდე მივედით, ვთქვით, როგორ აჯობებდა სამომავლოდ მუშაობის გაგრძელება...

კოგა ინასარიძე

16 თებერვალს კიევის „დინამო“ ისრაელში გაემგზავრა საწვრთნელ შეკრებაზე, რომლის მიზანიც მადრიდის „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩისთვის უკეთ მომზადებაა. კიეველებს დაგეგმილი აქვთ ამხანაგური შეხვედრების ჩატარება ადგილობრივ და არა მხოლოდ ადგილობრივ გუნდებთან. თავისთავად, ეს შეკრება განსაკუთრებული არაფრითაა და მასზე ყურადღებას არც გავამახვილებდი, რომ არა ერთი რამ...

ამ ორიოდე დღის წინ ქართულ ფეხბურთში უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. მართლაც, როგორი საქმეა — ერთ-ერთ ქართველ ფეხბურთელს, კახი კალაძეს, სადღაც მიყრუებულ გუნდში კი არა, იტალიის თუ ესპანეთის გრანდში თამაშის შანსი გაუჩნდა და მისით ევროპის საუკეთესო სპეციალისტები დაინტერესდნენ.

„მილანთან“ ამხანაგური შეხვედრისას კალაძის თამაში ძალიან მოეწონათ იტალიური „ინტერის“ მესვეურთ, რომლებმაც ქართველი ფეხბურთელის თაობაზე კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელებს ჩამოუგდეს სიტყვა. მალე „დინამოს“ პრეზიდენტის, გრიგორი სურკისის კაბინეტში უკვე მეორე, არანაკლებ საყურადღებო ზარი გაისმა. ეს გუს ჰიდინკის პირადი წარმომადგენელი გახლდათ და ისიც იმავე საკითხზე.

კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელებს გუნდის ისრაელში გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე გამოველაპარაკე. ლობანოვსკი და კომპანია ჩქარობდნენ, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, რამდენიმე საყურადღებო საკითხი დამეზუსტებინა. თავდაპირველად გრიგორი სურკისს მივმართე

ვის დარჩება კალაძე:

გრიგორი სურკისი

მარჩელო ლიპის თუ გუს ჰიდინკს?

კიეველთა პრეზიდენტს გრიგორი სურკისს ქართველი ფეხბურთელი იაფად არ ეთმობა



ვალერი ლობანოვსკი

— მოდით, ყველაფერზე თანამიმდევრობით ვთქვათ. როდის დაინტერესდა კალაძით მილანის „ინტერი“?

— როდის, არ ვიცი, მაგრამ პირადად მე იტალიელები „მილანთან“ თამაშის შემდეგ დამიკავშირდნენ. თუმცა როგორც საუბარში გაირკვა, მათ კახასთვის ყურადღება ჯერ კიდევ შარშან მიუქცევიათ.

— კონკრეტულად ვინ შეგეხმიანათ?

— ერთი იტალიელი აგენტი, რომელთანაც „დინამო“ საკმაოდ მჭიდროდ თანამშრომლობს. ეს პიროვნება აქტიურად მონაწილეობდა ჩვენსა და „მილანს“ შორის გამართულ მოლაპარაკებაში, რომელიც ანდრეი შევჩენკოს ტრანსფერს ეხებოდა.

— მან საკუთარი ინიციატივით დარეკა?

— არა, რა თქმა უნდა. კალაძის თამაში ძალიან მოეწონათ „ინტერის“ სელექციონერებს და როგორც გავიგე, არც მარჩელო ლიპის დაუმალავს თავისი აზრი. ძალიან მობილური, ტექნიკური და უნივერსალური ფეხბურთელი ჩანსო, უთქვამს.

— კერძოდ, რა გითხრეს იტალიელებმა?

— მათ გამოარჩიეს ჩვენი რამდენიმე მოთამაშე, მაგრამ კონკრეტული წინადადებით მხოლოდ კახას თაობაზე მოგვართეს. გარდა ამისა, იტალიური მხარის თხოვნაა, იმ შემთხვევაში, თუ კალაძით კიდევ ვინმე დაინტერესდება, ამის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობოთ.

— პირობებზე თუ იყო საუბარი?

— ჯერჯერობით სერიოზული არა, მხოლოდ ზოგადად ვისაუბრეთ. ერთი კი მითხრეს, „ინტერს“ სურს, რომ თუ ყველაფერი კარგად იქნება, მომავალი სეზონიდან კალაძე თავის შემადგენლობაში იხილოსო. თუმცა ისე არ გაიგოთ, თითქოს უკვე ყველაფერი მომზადებულია. „ინტერის“ წარმომადგენლებს უნდათ, კალაძე „რეალთან“ ოფიციალურ შეხვედრაში ნახონ, თუმცა ეფიქრობ, კახამ ესპანელებთან თამაში რომც გამოტოვოს, „ინტერი“ მას ასე უბრალოდ არ შეეშვება.

— კიდევ როდის შეგეხმიანებიან იტალიელები?

— მილანში ჩასვლას პირადად ვაპირებ. შევჩენკოს ტრანსფერთან დაკავშირებული რამდენიმე უმნიშვნელო საკითხი მაქვს მოსაგვარებელი და კალაძის თაობაზეც იქ დავილაპარაკებთ.

— მშასადმე, სრულებითაც არ არის გამორიცხული, რომ დაახლოებით ერთ წელიწადში ძველ თანაგუნდელებს, კახა კალაძესა და ანდრეი შევჩენკოს ერთმანეთის წინააღმდეგ მოუხდეთ თამაში.

— სრულებითაც არა, მაგრამ ისე მაინც ნუ წარმოადგენთ, თითქოს ყველაფერი გადაწყდა. მოლაპარაკება რთული პროცესია. ხომ გახსოვთ, შევჩენკოს ტრანსფერი რამდენ ხანს გაჭანჭლდა.

— თვითონ კახას დაუკავშირდნენ „ინტერის“ წარმომადგენლები?

— არა, ჩემთან ისაუბრეს.

— რამდენს მოითხოვთ კალაძეში?

— ამას ჯერჯერობით ნამდვილად ვერ გაგიმხელთ, მაგრამ თუ თანხაზე მიდგა საქმე, იგი ისეთი დონის ოსტატისთვის შესაფერისი იქნება. კალაძეს მუქთად არავის დავუთმობთ.

— კარგით. „რეალთან“ დაკავშირებით რას გვეტყვით?

— „რეალის“ ვარიანტი ოდნავ მოგვიანებით გამოჩნდა. მოგეხსენებათ, სამეფო კლუბის მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა პირადად დაგვზვერა „სან სიროზე“, როდესაც „მილანს“ ვხვდებოდით და თუმცა მან განაცხადა, „დინამოს“ შევჩენკოს გარდა არც ერთი აშკარად გამოკვეთილი ფეხბურთელი არა ჰყავსო, კალაძე შეუშჩნეველი მაინც არ დარჩა. საუბარისას მე ესპანელებს ვაცნობე, რომ კახას „ინტერმაც“ დაადგა თვალი.

— რომელი ვარიანტი გესახებათ უფრო რეალურად?

— სანამ კონკრეტული მოლაპარაკებები არ დაიწყება, ამის განსაზღვრა შეუძლებლად მიმაჩნია. მხოლოდ ის ვიცი, რომ ესპანელები ძირითად აქცენტს ჩემპიონთა ლიგის ორმატჩიან სერიაზე აკეთებენ და, ალბათ, კახას თაობაზეც ამის შემდეგ დავილაპარაკებთ. თუმცა, არც მოვლენათა მოულოდნელ განვითარებას გამოვრიცხავ, რადგან ესპანელებმა უკვე იციან, რომ გულხელდაკრეფილი არც „ინტერია“, ხოლო იტალიელები გულისწადილს თითქმის ყოველთვის ისრულებენ და მათთვის კონკურენციის გაწევა ძნელია.

— შევჩენკო პრაქტიკულად უკვე მილანელია. კიევის „დინამოს“ სხვა ფეხბურთელებზეც დიდი მოთხოვნილებაა. როგორ მიგაჩნიათ, მოთამაშეთა მასობრივი მიგრაციის შემთხვევაში რა ბედი ეწევა კიევის „დინამოს“?

— ადრეც უამრავჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: სატრანსფერო პოლიტიკაში სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს. თავქუდმოგლეჯილებმა ყველას გაყიდეს რომ დავიწყოთ, სასიკეთოს ვერაფერს მივაღწევთ და ამას არც ვაპირებთ. ყოველ გაყიდულ ფეხბურთელზე შესაბამისი შემცვლელიც გვეყოლება. ამ მხრივ სამგალითოდ ამსტერდამის „აიაქსის“ პოლიტიკა მიმაჩნია.

სურკისის შემდეგ ვალერი ლობანოვსკი მოვიხელთე. კიეველთა მრავალნაცად და შესამჩნევად მობერებულ თავკაცს რატომღაც სახე დანაღვლიანებოდა და ახლა სულ მთლად უკარება ჩანდა.

— ვალერი ვასილიჩ, რაიმე პრობლემა გაწუხებთ?

— არავითარი პრობლემა არ არის. აი, ისრაელში გასამგზავრებლად ვემზადებით. „რეალთან“ მატჩისთვის ჯეროვნად უნდა მოვემზადოთ და ეს შეკრებაც ხელს შეგვიწყობს ამაში.

— კალაძეზე თქვენც გაიგებდით.

— რას?

— „ინტერის“ და „რეალის“ შესახებ მოგახსენებთ.

— ამაზე ამბობთ... იცით, მე სრულებითაც არა ვარ კმაყოფილი.

— კალაძის გადასვლით?

— გადასვლაზე არ ვამბობ. უბრალოდ, ესოდენ საპასუხისმგებლო თამაშების წინ ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის თავგზის აბნევა საჭირო არ იყო. წარმოიდგინეთ ახლა მისი მდგომარეობა. ამ ამბავმა შეიძლება „რეალთან“ მატჩისთვის მომზადებაში ხელი შეუშალოს...

— რატომ, განა შევჩენკოს ასე დაემართა, როდესაც ამდენი ხნის განმავლობაში „მილანის“ შესახებ მიმდინარეობდა ლაპარაკი?

— მე არ მითქვამს, რომ ეს კალაძეს აუცილებლად შეემთხვევა, მაგრამ ხომ შეიძლება, ამისგან დაზღვეული არავინაა. შევჩენკომ ეს პროცესი შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანა, მაგრამ არა უპრობლემოდ. ამის მაგალითად თუნდაც მისი ბოლო მატჩი გამოდგება მილანთან. იქ იგი გუნდისთვის კი არა, თავისთვის თამაშობდა.

მე ეს შევახსენე სურკისს და ჯერჯერობით არც კალაძის ამბის გამხელას ვაპირებდით, მაგრამ პრესაში ინფორმაციამ მაინც გაჟონა და იძულებული გავხდით, შესაბამისი განცხადება გაგვეკეთებინა.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია „რეალის“ დამარცხება ორრაუნდიან ბრძოლაში?

— აბსოლუტურად რეალურია. თუ კარგად მოვემზადებით და ტრავმირებულებიც ნაკლებად გვეყოლება, ეს შეუძლებელი არაა.

— ჰიდინკიც ასე თვლის...

— მე არც ჰიდინკთან ვაპირებ კამათს და არც თქვენთან. მარტში ისედაც ყველაფერი გამოჩნდება.

ირაკლი სირაძე კიევიდან
საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

ფულიც აქვთ, აზრიც, პოზიციაც

„სარბიელი“ კვლავაც გამცნობთ პირველი ჯგუფის გუნდების მესვეურთა პოზიციას — ეს არ გახლავთ მორიგი, უმნიშვნელო გამოკითხვა. მეორე წრე კარზეა მომდგარი და განა საინტერესო არ არის, თექვსმეტიდან რამდენ პირველჯგუფელს შეეძლება სფფ-სთვის 200 ათასი დოლარის საგარანტიო წერილის წარდგენა?

თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობის აზრი და პოზიცია ამას წინათ გამცნეთ, ახლა კი თბილისის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი მესვეურის, ბატონ ტარიელ ღვაბერიძის მოსაზრებასაც გაგაცნობთ — როგორც იცით, რკინიგზის დეპარტამენტი სოლიდური ორგანიზაციაა, მას იმდენი შემოსავალი კი აქვს, 200 ათასი დოლარის საგარანტიო წერილი წარუდგინოს სფფ-ს, მაგრამ ისიც ხომ სათქმელია, რომ პირველი ჯგუფის ყველა გუნდი იმავეს ვერ შეძლებს. განსაკუთრებით რეგიონული გუნდებისა გვეეჭვება. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ყველაფერი ეტაპობრივად უნდა მოხდეს და შედარებით ღარიბ გუნდებს გარკვეული შეღავათები უნდა მიეცეთ.

კონსტანტინე გოგიშვილი

ერთი წავიდა, სამი მოვიდა

დღეს „სამგურალი“ მშობლიურ გუმბრინის ბაზაზე ერთხელაც ივარჯიშებს და ამით 20 თებერვალს მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასთან“ გასამართი თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩისთვის სამზადის მორჩება. წყალტუბოელები ხვალ დილით აპირებენ დედაქალაქს გამგზავრებას.

„სამგურალის“ წინასასეზონო სამზადისზე ხშირად ვწერდით. ერთი ინფორმაცია გუშინდელ „სარბიელშიც“ გაახლეთ. როგორც ვიტყობინებოდით, წყალტუბოელებმა თავიანთი ბოლო საკონტროლო შეხვედრა „ტორპედოსთან“ გამართეს და 0:3 დამარცხდნენ. „სამგურალის“ მთავარი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე ამ თამაშს არ დასწრებია, რადგანაც გერმანიაში გახლდათ.

მაგრამ, აგერ დარსაძეც დაბრუნდა და... ორიოდ დღეში გუნდს ახალი მოთამაშეებიც შემატა, თანაც ჩვენში საკმაოდ ცნობილნი, ამ ეტაპზე „სამგურალისთვის“ მეტად საჭირონი. დიახ, „სამგურალმა სოლიდური შევსება მიიღო. თასზე და ჩემპიონატის მეორე წრეში გუნდს გიორგი კილასონია, გიორგი სუხიაშვილი და ირაკლი გიორგობიანი დაეხმარებიან. „სამგურალში“ იანვარში მისული და ამ კვირაში აქედან ზესტაფონის „მარგვეთში“ გადაბარგებული ზვიად ენდელაძის საკომპენსაციოდ ამ ტრიომ ნამდვილად უნდა იკმაროს. სხვათა შორის, ამ დღეებში „სამგურალს“ გორელმა პაატა ფეზუაშვილმაც მოაკითხა, მაგრამ, როგორც ჩანს, უშედეგოდ.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

კიდევ კარგი, უსისხლოდ...

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში თამაშები კალენდრით ზუსტად ერთ თვეში უნდა განახლდეს. ჰოდა, ყველაზე არ ითქმის, მაგრამ ზოგიერთი მეორეჯგუფელი სერიოზულად შესდგომია სამეორწრეო სამზადისს და წვრთნას საკონტროლო თამაშებსაც უთავსებს.

ამ დღეებში ქუთაისში ხელოვნურსაფარიან მოედანზე გამართულ წრიულ ტურნირში ერომანეთს პირველი ქვეჯგუფის ბინადარნი — ადგილობრივი „ტორპედო 2“ და „რიონი“, წყალტუბოს „სამგურალი 2“, გაგრის „დინამო“ და გივი ჩოხელის სახელობის თასზე მოასპარეზე ქუთაისის „იმედი“ გაეჯიბრნენ. გამარჯვებული ბოლო დღეს გამოვლინდა. გაგრელებმა მეტად პრინციპული მატჩი 1:0 მოუგეს „ტორპედოს“ ფარმკლუბელებს და პირველი ადგილიც „დინამოს“ ერგო.

ტურნირზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყოდით, ერთი გარემოება რომ არა. სწორედ იმ ბოლო მატჩის შემდეგ მარცხით განაწყენებული ტორპედოელები მსაჯებს აუხირდნენ, ამათაც ვერ მოითმინეს, მოთამაშეებზე გაიწიეს და ატყდა ერთი „გამიშვი და გაგიშვებ“. არადა, ტორპედოელებს მსაჯებთან საპრეტენზტო არაფერი უნდა ჰქონოდათ. არბიტრი პაატა დოგრაშვილი ობიექტურად სჯიდა, თანამსაჯებსაც არ დაუშვიათ ისეთი შეცდომები, აყალ-მაყალი რომ გამოეწვია. „ტორპედო 2“ უფრო საკუთარმა უძლურობამ გააჯავრა, იმან, რომ კაცნაკლულ მეტოქეს ვერ გაუმკლავდა. ეს იყო. კიდევ კარგი, ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდა.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

კოლხეთმა ითამაშეს და კიდეც იჩხუბეს

ერთი კვირის წინ ბულგარეთში შეკრებაზე მყოფი ფოთის „კოლხეთის“ შესახებ გაუწყებდით. მაშინ ფოთელებს ერთი საკონტროლო მატჩი უკვე ჩატარებული ჰქონდათ ბურგასის „ჩერნომორეცთან“ (1:4), დანარჩენი შეხვედრათა თარიღებიც გამცნეთ, ისიც დავამატეთ, თუ არაფერი შეიცვალა მაკედონიურ „ვარდარს“ გაეჯიბრებიანო. ამასობაში დადგენილ რიცხვებში ფოთელებმა სამი საკონტროლო შეხვედრის გამართვაც მოასწრეს. მათ მეტოქეებს შორის „ვარდარი“ არ ფიგურირებდა, მაგრამ საქმე არც მთლად ასე ყოფილა. ის კი არა ისიც გვითხრეს „ვარდარს“ უკვე ეთამაშნენ და ფრედ 1:1 მორჩა შეხვედრაო. საქმეში უკეთ გასარკვევად თავად ნესებრში ვცდილობდით დაკავშირებას, მაგრამ ვერ შევძელით. ზემოთ მოგახსენეთ, „კოლხეთმა“ სამი შეხვედრა უკვე ჩაატარაო. ასეცაა, ოღონდ აქედან მხოლოდ ორის დასრულება მოხერხდა, ერთი კი უკრაინის მეორელიგელ ალჩევსკის „სტალთან“ ჩხუბით და აყალმაყალით დასრულებულა.

იმ დღეს, როცა ფოთელებს მაკედონიელებთან უნდა ეთამაშათ, მათი მეტოქეობის სურვილი მოულოდნელად ბულგარულ „კრემენცოვოს“ გამოუთქვამს, შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულებულა, სადაც ჩვენებურთაგან ბურთი ელდარ გვასალიას გაუტანია. მომდევნო მატჩი 14 თებერვალს გაიმართა, მეტოქე უკრაინული „სტალი“ იყო. სლავი მეფოლადეები ზედმეტად უხეშნი აღმოჩნდნენ, მათ არც ქართველებმა დაუთმეს და 0:0-ზე დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. უკრაინელებსა და ქართველებს შორის თურმე ისეთი ჩხუბი ამტყდარა... მატჩიც ჩაშალა.

მომდევნო სპარინგ-პარტნიორი კიდევ ერთი ბულგარული გუნდი „ნესებრი“ იყო. კოლხებმა 2:3 წააგეს, ბურთები კი ზაველ ღაღანიძემ და ჯონი კალანდაძემ გაიტანეს.

„კოლხეთს“ ბულგარეთში კიდევ ორი საკონტროლო მატჩი აქვს დაგეგმილი, ერთი მაკედონიურ „ვარდართან“და მეორე ვარნის „სპარტაკთან“. ფოთელები შინ, ალბათ, სახვალიოდ გამობრუნდებიან.

გიორგი ვაშაკიძე

ინგლისი

ლიგის თასის ნახევარფინალი. საპასუხო შეხვედრა

უიმბლდონი 0:1 ტოტენჰემი

0:1 ივერსენი (39)

უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, პერრი, ბლექველი, თეთჩერი, ერლი, ეკოკუ (ლიბერნი 80), რობერტსი, გეილი, ჰიუზი, იუელი (კენედი 79)

ტოტენჰემი: უოქერი, კარი, ფროინდი, ნილსენი, ანდერტონი, ფერდინანდი, ედინბურგი (სინტონი 65), ჟინოლა (იანგი 85), ვეგა, ივერსენი, კემპბელი

გაფრთხილება: რობერტსი, თეთჩერი, ფერდინანდი

მსაჯი: უილარდი

გუნდი, რომელიც სოლიდური შემადგენლობის მიუხედავად რამდენიმე თვის წინ პრემიერლიგის ფსკერზე იმყოფებოდა, ინგლისის ლიგის თასის ფინალში აღმოჩნდა. საუბარია ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსფურზე" — ჯორჯ გრემის გამოფხიზლებულმა გუნდმა ჩემპიონატშიც მოუმატა და აგერ, ნახევარფინალში თანაქალაქური „უიმბლდონის" ძლევის შემდეგ, ინგლისის ნაკლებად პრესტიჟული თასის გადამწყვეტ მატჩამდეც მიაღწია.

ამ კლუბების პირველი შეხვედრა „უაით ჰართ ლეინზე" 0:0 დასრულდა, მიუხედავად მასპინძლების, „ტოტენჰემის" ფეხბურთელთა აშკარა უპირატესობისა.

„სელჰარსტ პარკზე" „უიმბლდონი" მეტოქეს განსხვავებული შემადგენლობით დაუხვდა და მატჩის დასაწყისში შეუტია კიდეც. განსაკუთრებით ეფან ეკოკუ აქტიურობდა, რომელსაც თავისუფლად შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ სტუმართა მეკარე იან უოქერი სასწაულებს ჩადიოდა. მალე მოპირდაპირე კარსაც დაემუქრა საფრთხე, თუმცა შოტლანდიელმა გოლკიპერმა ნილ სალივანმაც დაამტკიცა, რომ უოქერზე ნაკლები არაფრით არის.

25-ე წუთზე მატჩის არბიტრმა მასპინძელთა მცველი დინ ბლექველი დაინდო, მხოლოდ ყვითელი აკმარა, არადა, „უიმბლდონის" უკანახაზელმა ლეს ფერდინანდს მუხლით კინაღამ თავი გაუტეხა. სწორედ ამ მომენტში მოხდა შეხვედრაში გარდატეხა, „ტოტენჰემი", ეტყობა, მეტოქის უხეშობამ გააღიზიანა და უკანმოუხედავად შეუტია. მისი ფრანგი ლეგიონერი დავიდ ჟინოლა „უიმბლდონის" დაცვაში ქარიშხალივით შეიჭრა, ზუსტადაც დაარტყა, მაგრამ ბურთს მასპინძელთა ერთ-ერთი მცველი გადაეღობა და კუთხურზე მოიგერია.

მერე, 39-ე წუთზე, გოლი გავიდა — იმავე ჟინოლამ ფრთაზე იაქტიურა, ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც მასპინძელი კენი კანინჰემი პატარა ბავშვივით შეცდა და სტეფან ივერსენმაც სალივანს აუღებელი დაურტყა — 1:0 „სფურზი" დაწინაურდა.

უიმბლდონი — ტოტენჰემი 0:1. სტეფან ივერსენის (მარჯვნივ) გოლმა „ტოტენჰემს" ფინალისკენ გზა გაუხსნა

მეორე ტაიმი „უიმბლდონმა" ისე დაიწყო, გეგონებოდა, თავად იგებდა. სტუმრებმაც „გაუგეს" მოწინააღმდეგეს და გაჩაღდა სუფთა ინგლისური ბურთის გორება. ალბათ, ბოლომდეც ასე გაგრძელდებოდა, მატჩის მიწურულს მასპინძელთა თავკაც ჯო კინერს საშინელი ღრიალი რომ არ მოერთო. მწვრთნელის რისხვამ მოთამაშეებზე დადებითად იმოქმედა — გეილს და ერლის ბოლო 15 წუთში გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, უოქერი შესანიშნავი იყო და უილარდის საფინალო სასტვენმაც ტაბლოზე 0:1 დაფიქრა — „სფურზმა" მძიმე, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

ასე რომ, გრემის ბიჭები ლიგის თასის ფინალში გავიდნენ. გადამწყვეტ შეხვედრას რეკონსტრუქციისთვის გამზადებული „უემბლი" უმასპინძლებს და მასში „ტოტენჰემი" პრემიერლიგურ „ლესტერს" და პირველი დივიზიონის ლიდერ „სანდერლენდს" შორის გამარჯვებულს შეხვდება. ამ გუნდების პირველი მატჩი სანდერლენდში გაიმართა და „ლესტერის" გამარჯვებით დასრულდა 2:1. მათი განმეორებით შეხვედრა გუშინ გვიან დასრულდა.

ნოდარ კასრაძე

პირველი დივიზიონი

XXXII ტური

ნორვიჩი 0:0 ბარნსლი

უოტფორდი 1:1 ჰადერსფილდი

1:0 მუნი (70), 1:1 ბიჩი (71)

სანდერლენდი	31	19	9	3	63:21	66
ბოლტონი	30	16	10	4	56:34	58
ბრედფორდი	31	17	6	8	55:32	57
იფსვიჩი	31	16	7	8	41:19	55
ბირმინგემი	31	15	8	8	46:29	53
უოტფორდი	32	13	11	8	47:42	50
ვულვზი	31	13	9	9	43:31	48
გრიმსბი	30	14	6	10	34:31	48
ვესტ ბრომვიჩი	32	13	7	12	54:50	46
შეფილდ იუნ.	30	12	8	10	47:47	44
ჰადერსფილდი	31	12	8	11	43:50	44
ნორვიჩი	30	11	10	9	43:41	43
ბარნსლი	31	9	12	10	39:38	39
ტრანმერი	31	8	14	9	41:44	38
კრ. პალასი	31	9	10	12	43:53	37
სტოკპორტი	31	8	12	11	37:39	36
სვინდონი	31	9	8	14	40:50	35
პორტსმუთი	31	8	10	13	39:47	34
ქუინზ პარკი	31	8	9	14	34:42	33
ოქსფორდი	31	8	8	15	33:52	32
ბერი	31	7	10	14	28:44	31
პორტ ვეილი	31	8	4	19	32:56	28
ბრისტოლი	31	5	12	14	40:58	27
ქრიუ	31	5	8	18	35:63	23

ფეხბურთის რუკასთან

არგენტინის სახალხო სასამართლომ ერთი კვირის წინ ქვეყნის დაბალ საფეხბურთო დივიზიონებში მატჩების შეჩერება ბრძანა, რადგან სტადიონებზე ხულიგან გულშემატკივართა გამოხტომები გახშირდა. მსაჯულთა ამ გადაწყვეტილებას ქვეყნის უძლიერესი დივიზიონის ფეხბურთელთა პროტესტიც მოჰყვა და აგერ უკვე ერთი კვირაა, არგენტინა უფეხბურთოდ ცხოვრობს. გუშინ ქვეყნის პრეზიდენტმა, „რივერ პლეიტის" ქომაგმა კარლოს მენემმა განაცხადა, რომ იგი გაფიცულ ფეხბურთელთა წარმომადგენლებს შეხვდება და მათთან ერთად იმსჯელებს პრობლემატურ საკითხებზე. მენემმა ფეხბურთელებთან დასაპირისპირებლად არგენტინის სახალხო სასამართლოს წევრებიც მიიწვია.

შოტლანდიის ორი კლუბი გაერთიანებას აპირებს. ქალაქ დანდის კლუბმა „დანდიმ" განაცხადა, რომ ამის თაობაზე უახლოეს მომავალში შესაძლოა მათ წინადადებით მიმართონ ქალაქის მეორე კლუბ „დანდი იუნაიტედს". დღესდღეობით ორივე კლუბი კრიზისშია. 180-ათასიანი ქალაქის ეს ორი გუნდი, რომელთა სტადიონებიც „დენს პარკი" (დანდი) და „ტენედისი" (დანდი იუნაიტედი) მხოლოდ 160 მეტრითაა ერთმანეთისგან დაშორებული, ბოლო დროს მიღწევებით ვერ დაიკვეხნის. ცნობისთვის: „დანდიმ" შოტლანდიის ჩემპიონატი ბოლოს 1962 წელს მოიგო, „დანდი იუნაიტედი" კი პირველი ბოლოჯერ 1983-ში გახლდათ.

ინგლისის ნაკრებისა და ბირმინგემის „ასტონ ვილას" თავდამსხმელი დონ დაბლინი თვენახევრით ვერ ითამაშებს. ფეხბურთელმა საზარდულის ოპერაცია უნდა გაიკეთოს. შემოდგომით დაბლინი ტკივილს გრძნობდა, მაგრამ მაშინ ყურადღება არ მიაქცია, ახლა კი გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს. „ასტონ ვილას" მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ განაცხადა, დაბლინის არყოფნა გუნდისთვის უდავოდ დიდი დანაკლისი იქნება, მაგრამ ამით ქვეყანა ნამდვილად არ დაიკარგება. „მთავარია, იგი დროულად გამოჯანმრთელდეს. დაბლინისნაირი თავდამსხმელები დღესდღეობით ძალიან გვჭირდება" — თქვა გრეგორიმ. შეგახსენებთ, რომ დიონ დაბლინმა წლევანდელი სეზონი „ქოვენთრში" დაიწყო, თუმცა შემდეგ 9,3 მილიონ დოლარად „ასტონ ვილაში" გადავიდა.

ჰოლანდიელ ნახევარმცველ რენე აიკელკამპს, რომელიც გერმანულ კლუბ „შალკეში" თამაშობს, შესაძლებელია კარიერის დასრულება მოუხდეს. გელზენკირხენელთა ლეგიონერმა ბუნდესლიგის შესვენებისას, ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პერიოდში აქილევსის მყესი გაიწყვიტა და ფეხბურთიდან წასვლა ემუქრება. „შალკეს" ექიმმა არმინ ლანგორსტმა აიკელკამპი საფუძვლიანად გასინჯა, შემდეგ კი დაასკვნა, რომ 34 წლის მოთამაშეს მომავალ სამ კვირას უფეხბურთოდ ცხოვრება მოუწევს. ამ ვადის გასვლის შემდეგ დადგინდება, უშველის თუ არა ოპერაცია ჰოლანდიელს. ცნობისთვის: რენე აიკელკამპმა 1997 წელს უეფას თასი მოიგო.

ფრანგული პრესის განცხადებით, საფრანგეთის ჩემპიონ „ლანსის" მცველი ფრედერიკ დეუ სეზონის ბოლოს შესაძლოა, ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერ „ბარსელონაში" გადავიდეს. ეს ინფორმაცია გუშინ გაავრცელა ჟურნალმა „ეკიპმ". 26 წლის ფეხბურთელს, რომელიც „ლანსში" 1991 წლიდან თამაშობს, საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში დღეისთვის 220 მატჩი აქვს ჩატარებული. დეუს შეძენის თაობაზე „ბარსელონას" წარმოადგენლებს არაფერი განუცხადებიათ. სხვათა შორის, ისინი დეუს გადაბირებას ადრეც ცდილობდნენ, მაგრამ მაშინ თავად ფეხბურთელმა ისურვა „ლანსში" დარჩენა.

პორტუგალიის თასის მეხუთე წრის მატჩები, რომლებიც სამშაბათს გაიმართა, არ დასრულდა: მარიტიმუ — სალგეირუში 3:2 (ძირითადი დრო 2:2); ფიერენსე (II დივიზიონი) — პევიდემი (III დივიზიონი) 0:1; ლეცა (II) — უნიაო ლეირია 0:1; ბოავიშტა — ფარენსე 2:1; ჟონდომარი (II) — პაკოს ფერეირა (II) 3:4; პენაფიელი (II) — კამპომაიორენსე 0:1; რიო ტინტო (III) — ტარპასი (II) 0:1 (ძ.დ. 0:0); პორტიმონენსე (II) — მორიერენსე (II) 1:2; ესპოსენდე (II) — ნავალი (II) 2:0; ბეირა მარი — პორტომოსენსე (III) 7:0; ვიტორია — ბენფიკა 2:0.

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციას ქალაქ ჰანოვერის მერიამ ოფიციალურად აცნობა, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის რამდენიმე თამაშის ოფიციალურად მასპინძლობა სურთ, თუ ქვეყანა ამ უფლებას მოიპოვებს. ჰანოვერის მერმა ჰერბერტ შმალსტიგმა გერმანული ფეხბურთის მმართველი ორგანოს წარმომადგენლებს აღუთქვა, რომ ქალაქის ხელისუფალნი ყოველივეს იღონებენ, რათა ჰანოვერში მსოფლიოს ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი ჩატარდეს. მისი განცხადებით, მალე ქალაქის სტადიონის კაპიტალური რემონტი დაიწყება. იგი წელიწადნახევარს გასტანს და მასში 70 მილიონ გერმანულ მარკას, ანუ 40 მილიონ დოლარს დააბანდებენ.

შოტლანდიის ნაკრების მცველი დევიდ ვეირი, რომელმაც ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა, ინგლისის პრემიერლიგის აუტსაიდერ „ევერტონში" გადავიდა. 28 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ მისმა გუნდმა, შოტლანდიურმა „ჰართსმა" მხოლოდ 250 ათასი გირვანქა გაიღო. საქმე ისაა, რომ ვეირს ძველ კლუბთან კონტრაქტი სეზონის დასრულებისთანავე ეწურებოდა, „ჰართსის" ხელმძღვანელობამ კი იფიქრა, სულ არაფერს 250 ათასი მაინც სჯობიაო და დევიდიც ახლავე გაუშვა. „ევერტონის" მწვრთნელმა უოლიტერ სმიტმა განაცხადა, სწორედ ვეირისთანა ფეხბურთელები გვჭირდებაო. „ძალიან მიხარია ახალ კლუბში გადასვლა. ახლა სხვა, გაცილებით მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებ" — განაცხადა ვეირმა. შოტლანდიის ნაკრებში მას ათჯერ უთამაშია.

ბრიტანულმა ტელეკომპანია „ონდიჯითალმა" მომავალი ოთხი წლის მანძილზე ჩემპიონთა ლიგის მატჩების პირდაპირ ეთერში ჩვენების უფლება მოიპოვა. „ონდიჯითალი" გახდა ITV-ს და TV ნეთვორქის პარტნიორი ჩემპიონთა ლიგის მატჩების ტელევიზიით ტრანსლირებაში. „ონდიჯითალის" მესვეურთა განცხადებით, ისინი მაყურებელს ყოველდღე მინიმუმ ოთხ მნიშვნელოვან შეხვედრას შესთავაზებენ, ხოლო თამაშებს ბრიტანული კლუბების მონაწილეობით აუცილებლად ანახებენ. „ჩვენ გვსურს, ბრიტანელმა ფეხბურთის გულშემატკივარმა რაც შეიძლება კომფორტულად იგრძნოს თავი. ამისთვის ვიღწვით" — განაცხადა „ონდიჯითალის" მენეჯერმა დაგ ლევსკიმ.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ ალუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

მირანდამ, ედმუნდო მინდამ

სარბიელის არქივიდან

მირანდამ თქვა, კაცი არ ვიყო, ალივეს დე სოუზა ნეტო არ გადავიბიროო.

არა, შეცდომა არ დაგვიშვია. მირანდა მართლაც კაცია, ეურიკო ჰქვია და თან ბრაზილიური კლუბის, „ვასკუ და გამას" პრეზიდენტია. რაც შეეხება ალივეს დე სოუზა ნეტოს, იგი სხვა არავინაა, თუ არა ედმუნდო.

„ვასკუ და გამა" ედმუნდოს ეკურკურება. კლუბს ფიცხელი თავდამსხმელის დაბრუნება სურს. 1997 წელს, როცა „ვასკუ და გამა" ბრაზილიის ჩემპიონი გახდა, ედმუნდო მათი ლიდერი გახლდათ.

— ის შესანიშნავი ფეხბურთელია და ჩვენ ნამდვილად წაგვადგება. ახალ სეზონს ედმუნდო, ალბათ, „ვასკუში" დაიწყებს. მე ყველანაირად ვეცდები, იგი რიოში დაბრუნებაზე დავიყოლიო — განაცხადა ეურიკო მირანდამ.

თავად ედმუნდო დუმს. გუშინ ის იტალიაში დაბრუნდა.

ერთი კვირის წინ, ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელი, „მხეცად", „ნადირად" და ათასგვარი ასეთი მეტსახელით შემკული ედმუნდო „ფიორენტინას" ხელმძღვანელობას ერთი კვირით დაეთხოვა და რიოში გასწია საქვეყნოდ ცნობილ კარნავალზე გასართობად.

და ყველაფერ ამასთან ერთად ედმუნდოს „ვასკუ დე გამას" ხელმძღვანელობასთანაც გაუბამს მოლაპარაკება. ისაუბრეს აქეთურზე, იქითურზე, სულ ბოლოს კი შესაძლო ტრანსფერსაც შეეხნენ. თავად ფეხბურთელი ამის თაობაზე არაფერს ამბობს, ჩუმად ყოფნას ამჯობინებს, მაგრამ „ვასკუ და გამას" პრეზიდენტი ეურიკო მირანდა იმდენად თავდაჯერებულია, უნდა ვიფიქროთ, რომ ედმუნდო მათ წინადადებას დაყაბულდება.

— 11 მილიონ დოლარს გავიღებ! მგონი, ფლორენციელები დაგვთანხმდებიან! — კვლავ მირანდა.

ეს უკვე საქმეა. 11 მილიონი დოლარი ედმუნდოს სანაცვლოდ. „ფიორენტინას" ხელმძღვანელობა რიოელთა წინადადებამ შეიძლება დააფიქროს, მაგრამ დადებითად გადაწყვეტს საკითხს თუ უარყოფითად, უცნობია.

ბოლოს პროგნოზის თქმასაც გავბედავთ — არაა გამორიცხული, სეზონის დასრულებისთანავე ედმუნდომ გუდა-ნაბადი აიყაროს და სამშობლოში დაბრუნდეს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მას რამდენიმე თანაკლუბელთან ცუდი ურთიერთობა აქვს (მაგალითად, პორტუგალიელ ნახევარმცველ რუი კოშტას არც მინდორზე, არც ვარჯიშებზე და საერთოდ, არსად არ ელაპარაკება), ადვილი შესაძლებელია, იტალიასთან განშორება ამჯობინოს.

ოთხშაბათს ედმუნდო იტალიაში დაბრუნდა. კვირას სერია A-ს მორიგი ტურია.

ირაკლი ილაშვილი

ჩვენ, რა თქმა უნდა, მოვიგებთ

სარბიელის არქივიდან

კევინ კიგანი — სახალხო გმირი

რეინკარნაციაზე ლონდონში, ლანკასტერ გეიტზე მდებარე ოფისში, ალბათ, არასდროს უფიქრიათ. თუ უფიქრიათ, ისე, თავისთვის, საქმეზე კი ამას გავლენა არ მოუხდენია. ახლა სხვა დრო დადგა. ლანკასტერ გეიტის მომუშავე ჩინოვნიკები მესიას სწორედ იმიტომ ეძებენ, რომ თებერვლის დასაწყისში მათთან, სამსახურში, სულთა გარდასახვაზე საკმაოდ დიდხანს ილაპარაკეს.

გლენ ჰოდლი, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი, 2 თებერვალს თანამდებობიდან რელიგიურ შეხედულებებზე ხმამაღლა საუბრის გამო მოხსნეს. მან საგაზეთო ინტერვიუში თქვა, რომ ყველა ინვალიდი წინა ცხოვრებაში ცუდი ადამიანი იყო და ახლანდელში ძველი ცოდვებისთვის ისჯება. ამ განცხადებამ შეურაცხყოფა მიაყენა უამრავ ადამიანს. შედეგიც ლოგიკური გახლდათ.

ლანკასტერ გეიტზე კი ქვეყნის ეროვნული გუნდს მწვრთნელის გარეშე ვერ დატოვებენ. ვინ იქნება მესია? ვინ უშველის ნაკრებს? ვინ შეცვლის ჰოდლს?

კანდიდატურა რამდენიმე დაასახელეს, მაგრამ მათ შორის მესიის სახელი ყველაზე მეტად ერთ კაცს აქვს გავარდნილი. საუბარია წარსულში დიდებულ ფეხბურთელზე, კევინ კიგანზე, რომლის რელიგიურ შეხედულებებზე ნამდვილად ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ შეგვიძლია გითხრათ, რა აზრისაა მასზე ხალხი. ინგლისში ეს ადამიანი იმ მწვრთნელადაა ცნობილი, რომელიც კრიზისის უფსკრულში ჩავარდნილ გუნდებს ალაზევებს ხოლმე.

70-იანი წლების დიდებული კიგანი კარგა ხანია, ისტორიაა. დღეს მას ახალი იმიჯი აქვს, ემოციური, სანახაობრივი ფეხბურთის მიმდევარი მწვრთნელის იმიჯი. მის სტილს ხშირად კამიკაძის სტილსაც უწოდებენ.

„ნიუკასლ იუნაიტედის“ და „ფულემის“ სათავეში ყოფნისას კიგანს წამლად ერთი ტიტულიც არ მოუგია. სამაგიეროდ, მისმა გუნდებმა გულშემატკივრებს თავი დაამახსოვრა. არა დახშული, ყრუ დაცვით, არამედ ლაღი შეტევით. 1996 წელს „ნიუკასლი“ 12 ქულით ლიდერობდა პრემიერლიგას. ეს იყო მშვენიერი, შამპანურივით მოშუშხუნე გუნდი, რომელმაც ვეებერთელა უპირატესობა ქარს, უფრო სწორედ კი, „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაატანა და ჩემპიონის ტიტული მას დაულოცა.

კიდევ რატომ სურთ ინგლისელებს ეროვნული გუნდის მწვრთნელად მაინცდამაინც კიგანის ხილვა? იმიტომ, რომ კიგანი იმათ განეკუთვნება, ვისაც ალბიონზე სახალხო ჩემპიონებს ეძახიან.

დავუბრუნდეთ გლენ ჰოდლს, რომელიც ასევე ძალიან პოპულარული ფეხბურთელი გახლდათ და ერთი ხანობა კიგანთან ერთად ინგლისის ნაკრებში გამოდიოდა. რაც ჰოდლმა, როგორც იტყვიან, ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა, მისი დიდება ნელ-ნელა მიილია, აი, კიგანისა კი პირიქით. ამბობენ, რომ იგი ფეხბურთელობისშემდგომ ეპოქაში უფრო ცნობილია, ვიდრე მანამდე იყო.

ჰოდლს, ყველგან, სადაც კი მწვრთნელად იმუშავა, კრიტიკა და დაძაბული ურთიერთობები სდევდა თან, კიგანმა კი სიყვარული მოიმკა, რადგან მისი გუნდები მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობდნენ.

კიგანი ალალი, გულიანი კაცია. იმავე 1996 წელს, „ნიუკასლი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონობისთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ შეებნენ ერთმანეთს, ჟურნალისტები, ბუნებრივია, ხშირად ხვდებოდნენ როგორც მას, ასევე მანჩესტერელთა თავკაც ალექს ფერგიუსონს. ერთხელაც, როდესაც ფერგიუსონმა ასეთ შემთხვევებში მიღებული, ჩვეულებრივი, დიპლომატიური სიტყვა თქვა, აბსოლუტურად გულწრფელმა კიგანმა განაცხადა: „ამათ თუ მოვუგებთ, ბედნიერი ვიქნები“.

ინგლისში გავრცელებულია აზრი, რომ როგორც ფეხბურთელი, კევინ კიგანი განსაკუთრებული ნიჭით არ გამოირჩეოდა და თითქოს იგი ვარსკვლავად უსაზღვრო ამბიციამ აქცია.

ნუთუ ეს შესაძლებელია? კიგანი ხომ ორჯერ გახლდათ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი.

ტრიბუნიდან მისი მოშვებული, ხუჭუჭი თმა ადვილი საცნობი იყო.

ფეხბურთის თამაში კიგანმა „სკანთორპაში“ დაიწყო, შემდეგ „ლივერპულსა“ და „ჰამბურგში“ დაიქუხა და ბოლოს იქცა კაცად, რომელსაც პრესაში ასე უწოდებდნენ: „მოვედი, რათა გიხსნა“. თავიდან მან „საუთჰემპტონი“ დაუყენა ჭეშმარიტების გზას, შემდეგ, 1982 წელს კი, „ნიუკასლს“ მიხედა და ჯორდები ძველ პირველ დივიზიონში აიყვანა.

... და კიგანი სადღაც დაიკარგა. ერთი ინგლისელი ჟურნალისტი ამბობს, რომ ნიუკასლის „სენტ ჯეიმსიზ პარკიდან“, პირდაპირ მოედნის ცენტრიდან, იგი ვერტმფრენით ღრუბლებში აფრინდა და გაუჩინარდა.

ამბობენ, იმ რვა წლის განმავლობაში არსად რომ ჩანდა, ღრუბლებში კი არ უფრენია, ესპანეთში ცხოვრობდა და გულის გასახარად გოლფს თამაშობდაო.

ასეა თუ ისე 1992 წელს კიგანი ინგლისს დაუბრუნდა — „ნიუკასლში“ მწვრთნელად მივიდა. ალბათ, ისევ ღრუბლებიდან დაეშვა ვერტმფრენით, ოღონდ, ამჯერად მოედნის ცენტრში კი არა, სათადარიგოთა სკამთან. აბა, ვერტმფრენით რომ არ დაშვებულიყო, გუნდს მეორე დივიზიონის სიღრმიდან პრემიერლიგის ოქროულობის მაძიებლად როგორ აქცევდა.

დაკვირვებული ხალხი ამბობს, რომ კიგანს მოულოდნელად წასვლა სჩვევია. 1997 წელს, როდესაც „ნიუკასლის“ დირექტორატმა სეიფი გაალო და ახალი ვარსკვლავების საყიდლად გვარიანი თანხის გამოღება დააპირა, კიგანი ქალაქიდან და, ბუნებრივია, გუნდიდანაც გაიქცა. მაშინ ყველას ეგონა, რომ იგი ისევ ღრუბლებს ან ესპანეთის გოლფის მინდორს მიაშურებდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, შუა ლონდონში, „ფულემის“ ბაზაზე შეამჩნიეს.

...საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში, კევინ კიგანი ტელეკომენტატორის ჯიხურში იჯდა და ერთს ფეხბურთის საიდუმლოებებს აზიარებდა.

„აი, ახლა კი ცხადია, რომ შეხვედრას ინგლისის ნაკრები მოიგებს“ — თქვა მან, როდესაც დან პეტრესკუმ ჰოდლის ნაკრებს გადამწყვეტი გოლი გაუტანა. იმ მატჩში რუმინელებმა იმარჯვეს — 2:1.

„ცხადია, გაიტანს“ — უპასუხა კიგანმა კომენტატორ ბრაიან მურს, როდესაც დევიდ ბეტი არგენტინის კარში საბედისწერო პენალტის დასარტყმელად გაემართა. ბეტიმ ისე დაარტყა, რომ სასტუმროში დაბრუნებულმა ინგლისელებმა ჩანთები ჩაალაგეს და აეროპორტს მიაშურეს შინ დასაბრუნებლად.

კი მაგრამ, სხვანაირად როგორ უნდა ეთქვა? მაშინ ხომ კევინ კიგანი აღარ იქნებოდა და ხალხს არ ეყვარებოდა. კიგანი, ბატონებო, იმიტომაა კიგანი, რომ ზუსტად იცის ერთი რამ: ჩვენ მოვიგებთ.

„მართალია, წლები მომემატა, მაგრამ მაინც ემოციური ვარ. ემოციურობა ცხოვრების აუცილებელი შემადგენელია. თუკი როდესმე შევატყობ, რომ ფეხბურთი აღარ მაღელვებს, ესპანეთში გოლფის სათამაშოდ წავალ“ — ამბობს ის და ცალი თვალით ვერტმფრენს გადახედავს ხოლმე.

მიხეილ სურგულაძე

სარბიელის არქივიდან

კევინ კიგანი დიდების წლებში გერმანული „ჰამბურგსა“ (მარცხნივ) და ინგლისური „ლივერპულის“ მაისურით თამაშობდა

ყველაზე მაგარი

ერიკ კანტონამ ინგლისური ფეხბურთი გაალამაზა და გაამდიდრა. ბოლო წლების „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფრანგი სიმბოლო (ისე, დედამისი სარდინიელია, ხოლო მამა — ანდალუზიელი), დიდებული იყო მოედანზეც, მის გარეთაც და ასევე მედიდურად, ცოტა არ იყოს, ნაადრევად წავიდა ფეხბურთიდან.

მანჩესტერ იუნაიტედის

ქომაგთა აზრით კლუბის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა ათეული ასე გამოიყურება:

1	ერიკ კანტონა
2	ჯორჯ ბესტი
3	რაიან გიგზი
4	სერ ბობი ჩარლტონი
5	ბრაიან რობსონი
6	დანკან ედვარდსი
7	პეტერ შმაიხელი
8	დევიდ ბექემი
9	მარკ ჰიუზი
10	დენის ლოუ

მისი იდეალი არ იყო ფეხბურთელი, იგი ალბერ კამიუს ალმერთებდა, დიდ ფრანგ მწერალს. ეს პირველ რიგში კანტონას ინტელექტზე მეტყველებს. განათლებული და ნაკითხი კაცი კი მინდორზეც ჭკუით აგორებს ბურთს. ასეთი იყო იგი.

კანტონა კაცური კაცია. თუნდაც ის ამბავი გავიხსენოთ, როცა „კრისტალ პალასთან“ შეხვედრის შემდეგ ამ გუნდის ქომაგს წიხლი ჩაარტყა და რომ არ გაეშველებინათ, ალბათ, დაასახიჩრებდა კიდეც. ამისთვის საზოგადოების ნაწილმა იგი შერისხა, ასოციაციამ კი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მაგრამ კანტონა კაცურად მოიქცა — იმ ლაწირაკმა შემაგინა და ამიტომ გავლახეო, თქვა. მისი ეს თვისებაც კარგად ჩანდა მინდორზე — „მანჩესტერის“ თამადა იყო.

ყველაფერ ამას კლასი, მაღალი დონე ემატებოდა. კანტონამ „ოლდ ტრეფორდს“ და მანჩესტერს ბევრი ტკბილი წუთი აჩუქა და გუშინ იქაურმა ფანებმა იგი კიდევ ერთხელ, ღირსეულად დააფასეს — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ოფიციალური ჟურნალის თაოსნობით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ერიკ კანტონა კლუბის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა.

კანტონამ ბევრი დიდებული მოთამაშე ჩამოიტოვა. მან ჯორჯ ბესტს აჯობა, ქალების და სასმელის ზედმეტად მოყვარულ, მაგრამ მაინც გენიალურ ბესტს. მის უკან აღმოჩნდა სერ ბობი ჩარლტონი — 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისელთა ლიდერი, 1968 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი („იუნაიტედმა“ „უემბლიზე“ პორტუგალიურ „ბენფიკას“ მოუგო 4:1 და ჩარლტონმა ორი გოლი გაიტანა).

კანტონამ მოულოდნელად, ტრაგიკულად ჩამქრალ ვარსკვლავს დანკან ედვარდსაც აჯობა, რომელიც 1958 წელს მიუნხენის აეროპორტში ავიაკატასტროფაში დაიღუპა მატ ბასბის ბრწყინვალე გუნდის სხვა რამდენიმე წევრთან ერთად.

სამართლიანია თუ არა ეს განლაგება, თავად განსაჯეთ, ჩვენ კი გამოკითხვის მომწყობი ჟურნალის რედაქტორის, ჯასტინ ბარნსის აზრს გაგაცნობთ:

— ჩვენი გამოცემის მკითხველთა საშუალო ასაკი 22 წელია და ვფიქრობ, საუკეთესო ათეულში ამდენი თანამედროვეობის ფეხბურთელი იმიტომ მოხვდა. კი, 90-იანი წლები მეტად წარმატებული იყო „მანჩესტერისთვის“ და რაიან გიგზიც ამ მიღწევათა ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გახლდათ, მაგრამ საეჭვოა, იგი უფრო დიდი ფეხბურთელი იყოს, ვიდრე სერ ბობი.

დავით კოპზირიძე

სარბიელის არქივიდან

ანგელოზი არა, მაგრამ საუკეთესო მანჩესტერელი კანტონა მაინც გახდა

ხანდახან მგონია, რომ საგიჟეთში ვარ

გერმანიის ნაკრების ბოლოდროინდელ გამოსვლებს რა-რა და, წარმატებული ნამდვილად არ ეთქმის. კლიმაქსის ასაკიდან სიჭაბუკეში დაბრუნების გზაზე შემდგომარმა „ბუნდეს 11“-მა თავის ქომაგებს დასამახსოვრებელი წუთები ვერც ამასწინანდელ ამერიკულ ტურნეში აჩუქა სამარცხვინო 0:3 აშშ-სთან და ისე რა 3:3 კოლუმბიასთან. აი, ერიხ რიბეკის ექსპერიმენტული ნაკრების უახლოესი მონაგარი. ნაკრების ამჟამინდელ მოძღვართან გერმანული ჟურნალ „კიკერის“ მწერლის სტუმრობაც ხსენებული ვოიაჟის ცხელ კვალზე შედგა.



ერიხ რიბეკი

— ჰერ რიბეკ, ნუთუ მთელი ამ ხნის განმავლობაში არცერთხელ არ გინახიათ, რომ ნაკრები ჩაიბარეთ?

— არა. და ალბათ ძალიან არასერიოზული კაცის შთაბეჭდილებას დავტოვებდი, თუკი პირველი სერიოზული მარცხის შემდეგ წუწუნს დავიწყებდი და ვიტყოდი, რომ ყველაფერი, რაც აქამდე გამიკეთებია, ფუჭი და უსარგებლო იყო.

— საინტერესოა, სანამ ნაკრების სათავეში დადგებოდით, წარმოგედგინათ თუ არა, რომ აშშ-სთან 0:3 წაგებაც შეგვეძლო?

— რას იზამ. ყველაფერს წინასწარ ვერ გამოთვლი. ისე კი მე თავიდანვე განვაცხადე, რომ ჩვენი უმთავრესი ამოცანა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლაა. ეს აზრი არც ახლა შემიცვლია. მით უფრო, რომ ამ ხნის განმავლობაში ის, რასაც მე ვაკეთებ, ისეთმა გონიერმა ხალხმაც მოიწონა, როგორიც კრისტოფ დაუმი, ოტო რეჰაგელი და მატიას ზამერია.

— მაგალითად?

— მაგალითად ის, რომ გამოცდილი ფეხბურთელების ირგვლივ ახალგაზრდა, გამოუცდელი ბიჭები შემოვკრიბეთ... თუ ზოგიერთი მათგანი ამჟამად ფორმაში ვერაა, და შესაბამისად ვერც ფლორიდაში ითამაშა კარგად, ეს ჩემი ბრალი ნამდვილად არ უნდა იყოს.

— გასულ უქმეებზე გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ნაკრების უკანასკნელ წარუმატებლობათა შესახებ იმსჯელა. იქნებ გაგვიმხილოთ, რა აზრი გამოთქვა იქ თქვენი „უბრალოების“ შესახებ?

— ზუსტად ისეთივე, როგორიც მე მოგახსენეთ.

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სხდომაზე მეორე ნაკრებისა და ახალგაზრდებისათვის სასწავლო შეკრებების ჩატარების აუცილებლობაზეც ისაუბრეს...

— მეორე ნაკრების შექმნა ჩემი წინადადებაა. რაც შეეხება ახალგაზრდულს, ბიჭები სეზონში 20-ჯერ მაინც უნდა იკრიბებოდნენ. ეროვნული ნაკრებისთვის კადრების შესარჩევი პროცესი რაც შეიძლება დატვირთული და შინაარსიანი უნდა გახდეს.

— მოკლედ, ეს ყველაფერი „ბუნდეს 11“-სთვის ახალი სისხლის გადასასხმელად კეთდება. ნაკრებში პირტიტველა ჭაბუკებსაც ხომ არ მოიწვევთ?

— თქვენი ირონიული ტონი მე არ უნდა მეხებოდეს. მართალია ნაკრების გაახალგაზრდავების საქმეში ყველაზე რადიკალურად განწყობილი სწორედ მე გახლავართ, მაგრამ არც იმ არანორმალურთა რიცხვს ვეკუთვნი, ვინც ეროვნულის ნაცვლად საერთაშორისო სარბიელზე 21 წლამდე ბიჭების გაყვანას მოითხოვს. ასეთ გადარეულებს რომ ვუსმენ, რაღა დაგიმალოთ, და თავი საგიჟეთში მგონია...

— ამბობენ, რომ ანდრეას მიოლერთან შელევას აპირებთ.

— ვნახოთ. მისი და მარიო ბასლერის სანაკრებო მომავლის ბედი, ალბათ, უახლოეს მომავალში გადაწყდება.

— ლოთარ მათეუსი? როგორ ასრულებს იგი თქვენს დავალებებს?

— ასი პროცენტით!

— და ეს იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელ სამ მატჩში დაცვამ, რომელსაც მათეუსი მეთაურობს, 7 ბურთი გაუშვა?

— დიახ, მიუხედავად ამისა. რადგანაც, ჯერ ერთი, ამ შვიდიდან სამში ლოთარს არანაირი ბრალი არ მიუძღვის. მეორეცაა და, უმთავრესი „დამნაშავე“ ნაკრების ზოგადი შეუთამაშებლობაა.

— სხვათა შორის, სწორედ ამ შვიდი გოლის გამო აქა-იქ უკვე იურგენ კოლერის დაბრუნებასაც ითხოვენ.

— მათი არანორმალურობაც სწორედ ამაში მეძღვანდება — გამუდმებით გაახალგაზრდავებაზე გაჰყვირიან და უცებ ვეტერანი ფეხბურთელის კანდიდატურას გთავაზობენ. ისე, ჩვენს შორის დარჩეს, და, მისი წინააღმდეგი არც მე ვარ. მის თამაშს რამდენჯერმე დავესწარი და ვფიქრობ, ახლაც დიდებულ ფორმაშია. თუმცა თავად დაბრუნების დიდ სურვილს არ ამჟღავნებს. ეგეც არ იყოს და, დაცვაში კარგი ფეხბურთელებიც საკმაოდ გვყავს — არც ვიორნსს ვუჩივი და არც ბაბელს, ცუდად არც მარკო რემერი თამაშობს. უახლოეს მომავალში კი ახალგაზრდებს — დოგანსა და გრაილიხსაც ვენდობით.

— ორიოდე სიტყვით ფლორიდული ვოიაჟის პოზიტიურ მხარეებზეც.

— თამაშნახევრის გამოკლებით იქ ყველაფერი პოზიტიური იყო. უწინარესად გუნდის შეკავშირებას, გარკვეული რგოლების შეთამაშებას ვგულისხმობ. საქმეში ვნახეთ ახალბედები — პრეეცი, რაიხი და ნიოვილი. მოკლედ, სტატისტიკური შეუხედაობის მიუხედავად, ამ მატჩებმა ჩვენ გარკვეული სარგებლობაც მოგვიტანა.

— ეს ყველაფერი ძალიან მალე ჩრდილო ირლანდიაში, მორიგ შესარჩევ მატჩში გამოიცდება. ჩათვლით თუ არა, რომ თქვენი მისია ჩასვრილია, თუკი შინ დაბრუნება ისევ თავდახრილს მოგიწევთ?

— იქ ბირპოფი, ჰაინრიხი, ციგა, ჰამანი, კირსტენი, ბაინლიხი და შტრუნციც შეგვემატებიან და გუნდს არც ოსტატობა აკლდება და არც ტაქტიკური მოქნილობა. რაც შეეხება ჩემს მისიას, მას ჩასვრილად მხოლოდ მაშინ მივიჩნევ, თუკი გერმანიის ნაკრები, კონტინენტის ჩემპიონი, 2000 წლის ევროპის პირველობის ფინალურ ტურნირზე ვერ მოხვდება.

Kicker-იდან თარგმნა
ლევან ძელაურაძემ

სიჩუმე დიდი საქმის წინ

„რეალი„ — ფაბიო კაპელო, ფაბიო კაპელო — „რეალი“... და ასე დაუსრულებლად.

ამ ორ სახელს ბოლო ხანებში ხშირად უკავშირებენ ერთმანეთს. რატომ? შემთხვევითობა აქ გამორიცხულია.

დღესდღეობით მადრიდის „რეალს“ უჭირს, ფაბიო კაპელო კი სწორედ ის კაცია, 1996-97 წლების სეზონში დაუძლურებულ გუნდს რომ დაეხმარა და ესპანეთის ჩემპიონის დაკარგული ტიტული დაუბრუნა. ეს ორი წლის წინ იყო. იმ გამარჯვების შემდეგ კაპელო „რეალიდან“ წავიდა. ახლა კი მას მადრიდში კვლავ უხმობენ, უფრო სწორად, სთხოვენ, რომ იგი მადრიდში ჩავიდეს.

ვერ უდგას გუს ჰიდინკს, „რეალის“ მწვრთნელს, კარგი დღეები. მადრიდული პრესა ერთთავად მის კრიტიკაშია, გულშემატკივრებიც აბობოქრდნენ, ყველაფერ ამასთან ერთად კი ლორენსო სანსი, „რეალის“ პრეზიდენტიც უკმაყოფილოა.

ესპანეთის ჩემპიონატს „რეალი“, ალბათ, ვეღარ მოიგებს. არა, იმას სულაც არ ვამბობთ, რომ სამეფო კლუბს პირველობის შანსი არ აქვს. უბრალოდ, ჩემპიონობა ძალიან გაუჭირდება. პირველი ადგილის გარდა კი სხვა შედეგი „რეალისთვის“ არაფერია. დეკემბერში მადრიდელებმა 38-წლიანი შესვენების შემდეგ კვლავ მოიპოვეს საკონტინენტთაშორისო თასი. სხვათა შორის, გუს ჰიდინკის თავკაცობით, მაგრამ ეს დღეს უკვე არავის აინტერესებს. „რეალი“ დღევანდელობით ცხოვრობს და არა ტკბილი მოგონებებით.

ბოლო ტურში „რეალი“ „ბარსელონამ“ დაამარცხა 3:0. წაგებაცაა და წაგებაც — მადრიდელები ამაზე დიდი ანგარიშითაც დამარცხებულან, მაგრამ კატალონიაში წაგება, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უსაშინლესი იყო. გუს ჰიდინკი საკუთარი თვალით ხედავდა, თუ როგორ ეწამებოდა „რეალი“ მასპინძლის მარწუხებში. იმ მატჩში „რეალი“ შერცხვა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, კლუბის ხელმძღვანელებს კი ამ მდგომარეობაში ყოფნა არ სურთ.

სწორედ აქ გაიხსენეს ფაბიო კაპელო, რომელსაც საქმის უმაღლეს დონეზე შემსრულებელ კაცად იცნობენ. მადრიდში მუშაობის გამოცდილება კაპელოს ნამდვილად არ აკლია, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მის გადაბირებას „ბარსელონაც“ ცდილობს. შესაძლოა კატალონიური კლუბის თავკაცობამ ახლა უკვე უარყო კაპელოს მიწვევის იდეა, მაგრამ მაშინ წელიწადში 3 მილიონ დოლარსაც სთავაზობდნენ.

გაძლიერდა „ბარსელონა“ და კაპელოს „კამპ ნოუზე“ გამგზავრებასთან დაკავშირებული მითქმა-მოთქმაც შეწყდა, თუმც ამით იტალიელი მწვრთნელის ესპანეთში გადაბარგების საკითხი მეორეხარისხოვნად არ ქცეულა. ახლა „რეალია“.

— საინტერესოა გუნდში მიბრუნება. თუმცა ამის თაობაზე გამოკვეთილი აზრი მაქვს. შემომთავაზებენ მისაღებ პირობებს — კი ბატონო, დავთანხმდები. არა და მაშინ სხვას მიმართონ. ისე კი, „რეალში“ მუშაობა ცუდი ნამდვილად არაა. კონკრეტულად ჯერ ვერაფერს ვიტყვი. ყველაფერი, ალბათ, მომავალში გაირკვევა — ფაბიო კაპელო არაფერს აკონკრეტებს.

ჯერჯერობით „რეალი“ დუმს, თუმც ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კლუბში უმოქმედობაა. ხომ ცნობილია, რომ დიდი საქმეები ჩუმად კეთდება. ფაბიო კაპელოს „რეალში“ დაბრუნება კი პატარა ამბავი ნამდვილად არ არის.

ფაბიო კაპელო. ჯერ კიდევ მადრიდის „რეალში“...

სარბიელის არქივიდან

ირაკლი ილაზვილი

რივერ პლეიტი ჩოჩორს მეპატიჟება, მარადონას სატრფოს — არა

არიელ ორტეგა

სარბიელის არქივიდან

შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ანტიგმირი, მეოთხედფინალში ჰოლანდიის ნაკრების მეკარის, ედვინ ვან დერ სარისთვის ცხვირში თავის ჩამრტყმელი არგენტინელი არიელ ორტეგა შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და კარიერა ყოფილ კლუბში „რივერ პლეიტში“ გააგრძელოს.

„ჩოჩორის“ (ორტეგას მეტსახელი) ამჟამინდელი გუნდი, ერთ დროს იტალიური ფეხბურთის გრანდი გენუის „სამპდორია“ სერია A-ში სამარცხვინო, ბოლოსწინა ადგილზე იმყოფება და სრულიად შესაძლებელია, მომავალ სეზონში ქვედა ლიგაში მოუწიოს გადაბარგება.

„რივერ პლეიტის“ ვიცე-პრეზიდენტმა ალფრედო დავისემ თქვა:

— ვფიქრობ, ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელის აუტსაიდერ გუნდში თამაში გაუმართლებელია. „სამპდორია“ ღრმა კრიზისშია და არა მგონია, მას წლეულს ვინმემ უშველოს, ამიტომაც არიელს უჯობს, თავის ყოფილ კლუბს დაუბრუნდეს. ამით „რივერ პლეიტიც“ მოიგებს და ორტეგაც.

თავად „ჩოჩორს“ ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

ამას წინათ დიეგო მარადონამ, რომელიც კუვეიტის ნაკრების გაწვრთნას და თავის ცხოვრებაზე ფილმის გადაღებას აპირებს, არგენტინულ პრესას უთხრა, შესაძლოა კლაუდიო კანიჯა „ბოკა ხუნიორსიდან“ „რივერ პლეიტში“ დაბრუნდესო. გასაგებია, რომ მარადონა მეგობრის (ზოგიერთი ვერსიით შეყვარებულის) ბედზე ზრუნავს, მაგრამ იმავე დავისემ აღნიშნა, ამის შესახებ არაფერი მსმენია, კანიჯას ნაღდად არ ვიყიდით და საიდან მოიტანა ეს მარადონამ, ჩემთვის გაუგებარიაო.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ქართველები საბჭოთა ნაკრებში

გელა კეტაშვილი

23

ფეხბურთი შექმნის დღიდან ვითარდება და ვითარდება. თუმცა უკანასკნელ წლებში ამ მილიონების თამაშში ბევრი სიახლე აღარავის შეუტანია. ბოლო „აღმოჩენად“ შეიძლება მსოფლიოს წამყვან გუნდებში ეგრეთ წოდებული კულუარის მოთამაშეების გამოჩენა ჩაითვალოს. ეს ისეთი ფეხბურთელები არიან, რომლებსაც მთელი ფლანგის გაკონტროლება ევალებათ. ისინი ძირითადად მცველები არიან, ხოლო როცა მათი გუნდი შეტევაზე გადადის, ეს განაპირა მცველები გარემარბებად გარდაიქმნებიან და მეტოქის კართანაც საკმაოდ ბევრ ხიფათს ქმნიან.

ზოგი სპეციალისტის აზრით, კულუარის მოთამაშეები თანამედროვე ფეხბურთში ყველაზე სასარგებლონი არიან, რადგან გუნდს გარემარბები აღარ სჭირდება და ამის ხარჯზე ცენტრის გაძლიერება ხდება. ზოგი კი მათი არსებობის წინააღმდეგია, რადგან მათთვის ლამაზი ფეხბურთი ტექნიკური გარემარბების გარეშე (მაგალითად, როგორიც იყო დიდი ბრაზილიელი გარინჩა) წარმოუდგენელია.

მიუხედავად ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობისა, კულუარის მოთამაშეები არსებობენ და ეს ფაქტია. მათ მრავალი გუნდი იყენებს და მეტად ნაყოფიერადაც — საფრანგეთის ნაკრებს ბიქსენტე ლიზარაზუ და ლილიან ტურამი ჰყავს, ბრაზილიისას რობერტო კარლოსი და კაფუ... ისინი თითქმის ერთხმად არიან აღიარებული უძლიერეს მოთამაშეებად და მდიდარი კლუბებიც არნახულ თანხებს ხარჯავენ მათ გადასაბირებლად.

რისთვის დამჭირდა ამხელა შესავალი? რისთვის და დღეს საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მარჯვენა მცველის თამაში უნდა გავიხსენო.

მარჯვენა მცველისა, რომელმაც თავისი სიტყვა, მართალია, სრულად ვერა, მაგრამ მაინც თქვა ჩვენს ფეხბურთში. მას თავდასხმაც ისევე კარგად და ჩინებულად გამოსდიოდა, როგორც დაცვა, ხშირად თბილისის „დინამოს“ ლიდერობასაც კისრულობდა, მეტად საჭირო გოლებიც გაჰქონდა და საგოლე პასებსაც არიგებდა. ეს ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში სხვადასხვა მიზეზის გამო ძალიან ადრე წავიდა ფეხბურთიდან. იგი ნამდვილად კულუარის დიდი მოთამაშე იყო!

გელა კეტაშვილი ნამდვილად ძლიერი ფეხბურთელი იყო და ქართულმა ფეხბურთმა მისი ნაადრევი პენსიაზე გასვლით ძალიან ბევრი დაკარგა.

ჩემი თაობისთვის, რომელსაც ბუნდოვნად ახსოვს თბილისის „დინამოს“ მიერ ევროპის თასების მფლობელთა თასის მოგება და საერთოდ, „ლივერპულის“, „ფეიენოორდის“, „ინტერისა“ და ამა ქვეყნის სხვა ძლიერთა მძლეველი გუნდის თამაში, გელა კეტაშვილი, ალბათ, განსაკუთრებულად საყვარელი ფეხბურთელია. არა, მე კარგად მახსოვს ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია, ოთარ გაბელია, ვლადიმერ გუცაევი, მაგრამ ეს უკვე 80-იანი წლების შუაგულიდან. ისინი მანამდეც ბევრ მეტოქეს უშრობდნენ სისხლს, მაგრამ გელა კეტაშვილი ჩემთვის, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, განსაკუთრებულად საყვარელი ფეხბურთელია. ჩემი თაობის ქომაგები და იგი ხომ ერთად მოვედით ფეხბურთში. 10-12 წლის ბიჭებმა სტადიონზე დამოუკიდებლად სიარული რომ დავიწყეთ, ზუსტად მაშინ გამოჩნდა გელა კეტაშვილი თბილისის „დინამოს“ რიგებში, გამოჩნდა და ადგილიც დაიმკვიდრა ძველი თაობის ვარსკვლავებს შორის.

პერსპექტიული ახალგაზრდა მაშინვე შეამჩნიეს საბჭოეთის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცებმა და გელამაც 1985 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, რომელიც „ჩვენს უკიდეგანო სამშობლოში“ გაიმართა, იასპარეზა. იმ ნაკრებში მასთან ერთად „დინამოს“ კიდევ ერთი ფეხბურთელი იყო — სოსო ჭედია. ქართველთა დაცვის დუეტი მთელი ტურნირის მანძილზე მშვენივრად ირჯებოდა და თუ სსრკ-მ ნახევარფინალური მატჩი ესპანეთთან პენალტების სერიაში დათმო, ამაში მათი „წვლილი“ ყველაზე ნაკლებია. დავუბრუნდეთ თბილისის „დინამოს“. 1987-ში ჩვენი ქვეყნის უპირველესმა გუნდმა რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ მოიპოვა ევროსარბიელზე გამოსვლის უფლება. უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში ჩვენი მეტოქე სოფიის „ლოკომოტივი“ იყო. პირველი მატჩი ბულგარეთში ჩატარდა და მსაჯის აშკარა მიკერძოების გამო მასპინძლებმა 3:1 გაიმარჯვეს.

განმეორებით შეხვედრას მთელი თბილისი მოუთმენლად ელოდა.

იმ თამაშის დასაწყისმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ბურთი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ. სტადიონზე თავშეყრილი ქომაგები სიხარულისგან ღრიალებდნენ. პირველივე წუთზე პენალტი. უკეთეს დასაწყისს ვერც ინატრებდი. სამწუხაროდ, დიდმა ქართველმა გოლეადორმა რამაზ შენგელიამ ანგარიშის გახსნა ვერ შეძლო.

თუმცა „დინამო“ იმ საღამოს ისე ძლიერი იყო, მისი შეჩერება სოფიის „ლოკომოტივზე“ გაცილებით ძლიერ გუნდსაც გაუჭირდებოდა. ასეც მოძაბული შეხვედრა იყო. ჩვენს გუნდში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა კეტაშვილი იყო. გერმანელებმა ერთხელ, პირველი ტაიმის მიწურულს, მისი ფლანგიდან სცადეს თავდასხმა. გელამ მაკრატელათი მოიგერია ბურთი. მეტოქის შეტევის ჩაშლა და თავისი გუნდის იერიშის წამოწყება ერთად გამოუვიდა. იერიშისა, რომელსაც სუ-

გელა კეტაშვილი (№2) ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების კარისკენ მიიწევს

ამბავი ოქროს პასისა

1988 წლის 4 ოქტომბერი. თბილისის აეროპორტში პირველ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონ ფეხბურთელს ეგებებიან

სარბიელის არქივიდან

პირველები ქართველები შეეხნენ. მოედნის ცენტრში დინამოელთა ერთი თუ ორი მოკლე პასის შემდეგ ბურთი მარჯვენა ფლანგზე, შუახაზთან ეულად მდგომ გელა კეტაშვილს მიუვიდა.

და დაიწყო.

გელა პირდაპირ მოწინააღმდეგის კარისკენ დაიძრა. გზაში შემხვედრ ხუთ თუ ექვს მცველს ელეგანტურად აუარა გვერდი და „ლოკომოტივის“ საჯარიმოში შეიჭრა. თუმცა დამაგვირგვინებელი დარტყმით განხორციელება ვინ აცადა — წააქციეს. მსაჯს წამითაც არ უყოყმანია, ისე გაიშვირა ხელი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ... ხდა. თენგიზ სულაქველიძემ, გია გურულმა და ალექსანდრე ჩივაძემ სამი უპასუხო გოლი გაუტანეს სტუმრებს და შემდეგ ეტაპზეც გავედით.

ევროთასზე უკანასკნელი თამაში საბჭოთა თბილისის „დინამომ“ იმავე წელს გამართა შინ ბრემენის „ვერდერთან“. გერმანელებმა თავისთან 2:1 მოგვიგეს (მანამდე კი მოსკოვის „სპარტაკი“ 6:2 გაანადგურეს).

ბორის პაიჭაძის (მაშინდელი ლენინის) სახელობის სტადიონზე პირველად ვნახე ამდენი ქომაგი ერთად თავმოყრილი (თითქმის 85000). მეტად დალაქველიძის გოლი მოჰყვა. ჩვენდა სამწუხაროდ, ბრემენელებმა მეორე ტაიმში ანგარიშის გათანაბრება შეძლეს, ეს ნორვეგიელმა ბრატბაკმა მოახერხა და თბილისის „დინამოც“ კარგა ხნით დაემშვიდობა ევროპას.

იმ წლებში, როცა „დინამოში“ თაობათა ცვლა მიმდინარეობდა, შეიძლება ითქვას, გელა კეტაშვილი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ღირსეულად შეცვალა 1981 წლის 13 მაისის ტრიუმფატორები. ჩვენი გუნდის მე-2 ნომერს მშვენიერი ტაქტიკური ხედვა, კარგი ტექნიკა, უძლიერესი დარტყმა და დიდი ფეხბურთელებისთვის დამახასიათებელი სხვა ღირსებები ჰქონდა. და თუ მის სახელს ევროპაში არ დაუქუხია, ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ გელას თამაშის წლები „დინამოს კრიზისს დაემთხვა.

თავისი ერთადერთი ტიტულიც ხომ „დინამოს“ გარეშე მოიპოვა. 1988 წელს კორეაში, სეულის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირის ნაკრებიც მონაწილეობდა, რომლის დაცვისა და შეტევის მარჯვენა ფლანგზე დიდებული ოსტატი — გელა კეტაშვილი თამაშობდა. საბჭოელებმა ისე კარგად წარმართეს მთელი ტურნირი, რომ ფინალს თითქმის უპრობლემოდ უწიეს.

ფინალში კი მათ თვით ბრაზილიის ნაკრები ელოდათ, რომლის შემადგენლობაშიც რომარიო ბრწყინავდა. მშვენიერი მატჩი გაჩაღდა. ორივე ნაკრებმა ყველაფერი გაიღო გამარჯვების მისაღწევად. ბრაზილიელებს ძალიან ეიმედებოდათ რომარიოსი, მაგრამ საბჭოელმა მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და სამხრეთამერიკელ ვარსკვლავს პერსონალურ მეურვედ ქართველი მცველი მიუჩინა. კეტაშვილი-რომარიოს ორთაბრძოლა მინი-მატჩი იყო. ჩვენებურმა ძლიერი მეტოქე აშკარად დაჯაბნა, ფაქტობრივად, ფეხის განძრევის საშუალებაც არ მისცა მთელი შეხვედრის მანძილზე. თუმცა ამ საქმეს გელამ იმდენი ენერგია შეალია, რომ შეტევებში ჩვეულად ვეღარ ერთვებოდა. მატჩის ძირითადი დრო დასასრულს უახლოვდებოდა. ტაბლოზე ორი ერთიანი ციმციმებდა. ყველას ეგონა, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად ორი დამატებითი ტაიმის დანიშვნა გახდებოდა საჭირო, მაგრამ არა. საბჭოთა ნაკრებში ხომ ძლიერი ქართველი ფეხბურთელიც თამაშობდა სლავებთან ერთად.

ბრაზილიელთა მორიგი შეტევა, რომელიც სსრკ-ს საჯარიმოს მისადგომებთან კეტაშვილმა ჩაშალა და — ამას მოჰყვა ოქროს პასი. ბურთმა მთელ მინდორს გადაუფრინა და მოსკოვის ტორპედოელი იური სავიჩევი მეტოქის მეკარესთან პირისპირ დარჩა. რუსმა კარგად შეიშნო ქართველის პასი და გამარჯვების მომტანი მეორე გოლიც გაუტანა ბრაზილიელებს. გელა კეტაშვილი კი პირველი ქართველი ფეხბურთელი (და ჯერჯერობით ერთადერთიც) გახდა, რომელმაც მკერდი ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა.

ორიოდ წელიწადში კი საქართველოს ჩემპიონატებიც დაიწყო. პირველი ეროვნულის პირველ მატჩში თბილისის „იბერია“ (იგივე „დინამო“) ფოთის „კოლხეთი 1913“-ს მასპინძლობდა. 1:0 სტუმართა სასარგებლოდ. ერთადერთი გოლი კი გელა კეტაშვილმა საკუთარ კარში ჩაჭრა. ამ თამაშის გარდა მან იმ ჩემპიონატში კიდევ 8 მატჩი ჩაატარა, შემდეგ სეზონში კი ლანჩხუთის „გურიის“ მაისურით 7 შეხვედრაში ითამაშა. ამას ფეხბურთთან სამწლიანი განშორება მოჰყვა. საქართველოს მე-6 ჩემპიონატში კი გელამ სამჯერ დაიცვა „დინამოს“ ღირსება.

და მორჩა.

ამბობენ, კეტაშვილი „დინამოდან“ „გურიაში“ იმიტომ გაუშვეს, რომ საკუთარ კარში გატანილი გოლი არ აპატიესო. არ მინდა დავიჯერო, რადგან ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ვიღაცის ხუშტურების გამო ქართულმა ფეხბურთმა მშვენიერი განაპირა მცველი დაკარგა. არადა, ამის დაუჯერებლობაც ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ის კი ნათელია, რომ გელა კეტაშვილს ფეხბურთისთვის ასე ადრე არ უნდა მიენებებინა თავი. მას ხომ კიდევ ძალიან ბევრის გაკეთება შეეძლო „დინამოსთვის“ და რაც მთავარია, საქართველოს ნაკრებისთვის. მაგრამ რას იზამ, ძალა აღმართს ხნავს.

მიუხედავად ამისა, „დინამოს“ მე-2 ნომერი, რომელიც ფეხბურთში ჩემს თაობასთან ერთად „მოვიდა“, ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ქართველ ფეხბურთელად დარჩა.

დღეს მსოფლიოს უმდიდრესი კლუბები მილიონებს ხარჯავენ, რათა კულუარის ძლიერი მოთამაშეები შეიძინონ.

ჩვენ კი კარგა ხნით ადრე გვყავდა კულუარის დიდი მოთამაშე — გელა კეტაშვილი, რომლის ოქროს პასმაც საბჭოთა კავშირის ნაკრებს სეულის ოლიმპიადა მოაგებინა,

გაიოზ თალაკვაძე

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XIX ტური

19 თებერვალი			
ბოხუმი — ჰამბურგი	2,2	2,8	3,1
ვოლფსბურგი — ჰანზა	1,5	3,3	6,0
20 თებერვალი			
ნიურნბერგი — ვერდერი	2,4	2,8	2,7
ლევერკუზენი — ფრაიბურგი	1,3	4,0	7,5
0:1	2,0	3,0	2,4
ჰერტა — დორტმუნდი	2,3	2,8	2,9
დუისბურგი — ბაიერნი	4,7	3,0	1,7
მიუნხენ 1860 — აინტრახტი	1,5	3,3	6,0
შტუტგარტი — შალკე	1,7	3,1	4,4
21 თებერვალი			
მონხენგლადბახი — კაიზერსლაუტერნი	3,2	2,9	2,1

გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა

(გადადებული მატჩები)

21 თებერვალი			
ურდინგენი — ჰანოვერი	2,4	2,8	2,7
22 თებერვალი			
კიკერსი — ზანქტ პაული	1,6	3,0	5,6

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXVI ტური

20 თებერვალი			
არსენალი — ლესტერი	1,3	3,8	8,0
0:1	1,9	3,2	2,6
ბლეკბერნი — შეფილდ უენსდეი	1,9	2,8	3,8
ქოვენთრი — მანჩესტერი	5,3	3,1	1,6
დერბი — ჩარლტონი	1,35	4,0	6,5
0:1	2,0	3,0	2,4
ლიდსი — ევერტონი	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,0	2,4
ლივერპული — ვესტ ჰემი	1,5	3,3	6,0
მიდლსბრო — ტოტენჰემი	2,3	2,8	2,9
ნოტინგემი — ჩელსი	4,4	3,1	1,7
საუთჰემპტონი — ნიუკასლი	2,5	2,9	2,5
21 თებერვალი			
უიმბლდონი — ასტონ ვილა	2,5	2,9	2,5

ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXXII ტური

19 თებერვალი			
შეფილდ იუნაიტედი — ბრედფორდი	2,6	2,9	2,4
20 თებერვალი			
ბარნსლი — გრიმსბი	2,2	2,9	3,0
ბერი — ნორვიჩი	2,4	2,8	2,7
ქრიუ — სტოკპორტი	2,4	3,0	2,5
ჰადერსფილდი — ტრანმერი	1,8	2,9	4,2
იფსვიჩი — ოქსფორდი	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,3	2,8
პორტ ვეილი — კრისტალ პალასი	2,3	2,9	2,8
ქუინზ პარკი — უოტფორდი	2,4	2,9	2,6
სანდერლენდი — ვულვერჰემპტონი	1,5	3,3	6,0
სვინდონი — პორტსმუთი	1,9	2,9	3,6
ვესტ ბრომვიჩი — ბრისტოლი	1,4	3,6	6,5
0:1	2,0	3,2	2,3
21 თებერვალი			
ბირმინგემი — ბოლტონი	2,3	2,8	2,9

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXII ტური

21 თებერვალი			
ბოლონია — ემპოლი	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5
ფიორენტინა — რომა	1,7	3,0	4,7
იუვენტუსი — ვიჩენცა	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ლაციო — ინტერი	2,0	2,9	3,4
მილანი — კალიარი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
სალერნიტანა — პარმა	3,1	2,8	2,2
სამპდორია — პიაჩენცა	1,7	3,0	4,7
უდინეზე — ბარი	1,6	3,0	5,6
ვენეცია — პერუჯა	1,8	2,8	4,4

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXIII ტური

20 თებერვალი			
ვერონა — ტრევიზო	1,7	2,7	5,6
21 თებერვალი			
კოზენცა — ტორინო	3,2	2,7	2,2
კრემონეზე — ბრეშა	3,6	2,7	2,0
ლეჩე — ფ. ანდრია	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ლუკეზე — რეჯინა	2,4	2,7	2,8
მონცა — ჩეზენა	1,6	2,8	6,5
ნაპოლი — რეჯანა	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5
პესკარა — კიევო	1,6	2,8	6,5
რავენა — ჯენოა	1,7	2,8	5,3
ტერნანა — ატალანტა	3,2	2,7	2,2

ესპანეთის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXIII ტური

20 თებერვალი			
რეალი — ბილბაო	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
ესტრემადურა — ბეტისი	2,4	2,8	2,7
რასინგი — სარაგოსა	2,0	2,8	3,5
21 თებერვალი			
ალავესი — ტენერიფე	2,2	2,9	3,0
ოვიედო — მალიორკა	2,5	2,8	2,6
სოსიედადი — ატლეტიკო	1,7	3,0	4,7
ესპანიოლი — დეპორტივო	2,5	2,8	2,6
სალამანკა — ვილიარეალი	2,0	2,8	3,5
ვალენსია — ვალიადოლიდი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
სელტა — ბარსელონა	2,6	2,9	2,4

ესპანეთის ჩემპიონატი. მეორე დივიზიონი. XXV ტური

20 თებერვალი			
მალაგა — რეკრეატივო	1,5	3,2	6,5
კომპოსტელა — ბადახოსი	1,6	3,0	5,6
ნუმანსია — ოსასუნა	2,5	3,0	2,4
ლეიდა — ერკულესი	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
რაიო ვალეკანო — ალბასეტე	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
მალიორკა B — ეიბარი	1,5	3,4	5,6
ლას პალმასი — სპორტინგი	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5
21 თებერვალი			
ატლეტიკო B — ტოლედო (15^{00})	2,3	2,8	2,9
ლოგრონიესი — ბარსელონა B	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5
სევილია — ლეგანესი	1,3	3,8	8,0
0:1	1,9	3,3	2,5
ორენსე — მერიდა	2,6	2,9	2,4

პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIII ტური

19 თებერვალი			
სპორტინგი — რიუ ავე	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
20 თებერვალი			
ბრაგა — ბოავიშტა	3,5	2,8	2,0
სალგეირუში — ლეირია	2,0	2,8	3,5
21 თებერვალი			
შავეში — ფარენსე	1,9	2,8	3,8
აკადემიკა — ბეირა მარი	2,1	2,9	3,2
სეტუბალი — მარიტიმუ	1,9	2,8	3,8
ბენფიკა — გიმარაეში	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
პორტუ — ალვერკა	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,5	3,5
კამპომაიორენსე — ამადორა	2,5	2,9	2,5

ჰოლანდიის ჩემპიონატი

20 თებერვალი			
როდა — სპარტა	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5
სიტარდი — კამბური	1,9	2,9	3,6
ალკმაარი — ვალვაიკი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ვიტესი — მაასტრიხტი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
21 თებერვალი			
უტრეხტი — ჰერენვენი	2,4	2,9	2,6
გრაფშხაპი — ტვენტე	2,8	2,9	2,3
ფეიენოორდი — ეინდჰოვენი	1,6	3,0	5,6

ბელგიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

20 თებერვალი			
ანდერლეხტი — ეკერენი	1,6	3,0	5,6

თურქეთის ჩემპიონატი. XXI ტური

19 თებერვალი			
სამსუნი — ფენერბაჰჩე	5,3	3,1	1,6
20 თებერვალი			
ბეშიქთაში — ალთაი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
21 თებერვალი			
ტრაბზონი — ქოჯაელი (15^{30})	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,0	2,4
ადანა — გენჩლერბირლიგი (15^{30})	2,1	2,9	3,2
საქარია — ბურსა (15^{30})	2,0	2,9	3,4
ანკარა — გაზიანთეფი (15^{30})	2,0	2,8	3,5
დარდანელი — ანთალია (15^{30})	2,3	2,9	2,8
ქარაბუქი — ერზურუმი (15^{30})	2,0	2,9	3,4
გალათასარაი — ისთანბული	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5

შოტლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური

20 თებერვალი			
დანდი იუნაიტედი — აბერდინი	1,9	2,8	3,8
ჰართსი — სენტ ჯონსტონი	2,3	2,9	2,8
კილმარნოკი — დანფერმლაინი	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5
რეინჯერსი — დანდი	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,5	3,5
21 თებერვალი			
მოზერველი — სელტიკი	5,3	3,1	1,6

საფრანგეთის თასი. მეთექვსმეტედფინალი

19 თებერვალი			
ვასკალი (II) — მეცი	4,0	3,0	1,8
ლემანი (II) — რენი	3,6	2,9	1,9
20 თებერვალი			
ამიენი (II) — ლე ავრი	2,8	2,9	2,3
ლანსი — მარსელი	2,5	2,9	2,5
სენტ ჟორჟი — სოშო	3,6	2,9	1,9
გინგამი (II) — სტრასბური	2,5	2,9	2,5
პსჟ — ნანტი	1,9	2,9	3,6

ბელგიის თასი. მეოთხედფინალი

20 თებერვალი			
ლოკერენი — ვესტერლო	1,5	3,3	6,0
ინგელმუნსტერი (III) — სტანდარდი	6,5	4,0	1,35
21 თებერვალი			
კორტრაიკი — ლიერსი	3,0	2,9	2,2
სენტ ტრუიდენი — გენკი	3,2	2,9	2,1

ჰოკეი. NHL

19 თებერვალი			
ბუფალო — სან ხოსე	1,4	4,4	3,4
რეინჯერსი — პიტსბურგი	2,0	4,4	2,0
ტამპა ბეი — ფინიქსი	2,7	4,4	1,6
დეტროიტი — ნიუ ჯერსი	1,9	4,4	2,1
ნეშვილი — კოლორადო	2,2	4,4	1,8
კალგარი — ანაჰაიმი	1,9	4,4	2,1
დალასი — ჩიკაგო	1,2	4,4	5,0
20 თებერვალი			
ტორონტო — მონრეალი	1,4	4,4	3,4
ოტავა — ფილადელფია	2,0	4,4	2,0
ნიუ ჯერსი — აილენდერსი	1,2	4,4	5,0
ვაშინგტონი — სან ხოსე	1,9	4,4	2,1
ტამპა ბეი — კაროლინა	2,7	4,4	1,6
ფლორიდა — ფინიქსი	1,9	4,4	2,1
სენტ ლუისი — ნეშვილი	1,5	4,4	3,0
კალგარი — ლოს ანჯელესი	1,8	4,4	2,2
ვანკუვერი — ანაჰაიმი	2,0	4,4	2,0
21 თებერვალი			
ბუფალო — დეტროიტი	1,8	4,4	2,2
ფილადელფია — პიტსბურგი	1,7	4,4	2,4
კაროლინა — აილენდერსი	1,3	4,4	4,0
ჩიკაგო — ბოსტონი	2,0	4,4	2,0
ედმონტონი — რეინჯერსი	1,9	4,4	2,1
დალასი — კოლორადო	1,7	4,4	2,4
22 თებერვალი			
პიტსბურგი — ფინიქსი	1,7	4,4	2,4
ვაშინგტონი — ტორონტო	2,0	4,4	2,0
ტამპა ბეი — ნიუ ჯერსი	3,0	4,4	1,5
სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი	1,5	4,4	3,0
კალგარი — რეინჯერსი	2,0	4,4	2,0

კალათბურთი. NBA

19 თებერვალი			
ფილადელფია — ნიუ იორკი	1,7	12,0	1,9
ვაშინგტონი — ჩიკაგო	1,6	12,0	2,0
ტორონტო — მილუოკი	1,9	12,0	1,7
ატლანტა — ორლანდო	1,8	12,0	1,8
მინესოტა — ვანკუვერი	1,4	12,0	2,5
ფინიქსი — დეტროიტი	1,8	12,0	1,8
პორტლენდი — ბოსტონი	1,6	12,0	2,0
ლეიკერსი — სან ანტონიო	1,8	12,0	1,8
გოლდენ სტეიტი — დალასი	1,3	12,0	3,0
საკრამენტო — შარლოტი	1,35	12,0	2,7
20 თებერვალი			
მაიამი — ჰიუსტონი	1,9	12,0	1,7
იუტა — სიეტლი	1,5	12,0	2,2
ფილადელფია — ატლანტა	1,6	12,0	2,0
კლივლენდი — ნიუ ჯერსი	1,5	12,0	2,2
მილუოკი — ინდიანა	1,6	12,0	2,0
პორტლენდი — გოლდენ სტეიტი	1,35	12,0	2,7
კლიპერსი — დალასი	1,8	12,0	1,8
21 თებერვალი			
ნიუ იორკი — ჩიკაგო	1,15	12,0	4,7
ვაშინგტონი — ბოსტონი	1,8	12,0	1,8
სან ანტონიო — დეტროიტი	1,6	12,0	2,0
ტორონტო — ვანკუვერი	1,7	12,0	1,9
ორლანდო — ჰიუსტონი	1,6	12,0	2,0
მინესოტა — საკრამენტო	1,5	12,0	2,2
ინდიანა — ნიუ ჯერსი	1,3	12,0	3,0
სიეტლი — ლეიკერსი	1,2	12,0	4,0
22 თებერვალი			
ორლანდო — საკრამენტო	1,2	12,0	4,0
ატლანტა — ჩიკაგო	1,2	12,0	4,0
კლივლენდი — ფილადელფია	1,8	12,0	1,8
მინესოტა — სან ანტონიო	1,7	12,0	1,9
დენვერი — ლეიკერსი	1,8	12,0	1,8
იუტა — კლიპერსი	1,1	12,0	6,0
ფინიქსი — დალასი	1,3	12,0	3,0

რაგბი. ხუთი ერის პირველობა. II ტური

20 თებერვალი			
ინგლისი — შოტლანდია	1,1	6,0	6,0
უელსი — ირლანდია (ლონდონში)	1,4	6,0	2,8

ტურში გატანილი გოლები

გერმანია (მე-19 ტური)	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9
ინგლისი (26-ე ტური)	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9
იტალია (22-ე ტური)	22 და ნაკლები	1,9	24 და მეტი	1,9
ესპანეთი (23-ე ტური)	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9
პორტუგალია (23-ე ტური)	23 და ნაკლები	1,9	25 და მეტი	1,9
თურქეთი (21-ე ტური)	24 და ნაკლები	1,9	26 და მეტი	1,9

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ზოგმა, ჰო, ზოგმაც, არაო

ეროვნულ საკალათბურთო ჩემპიონატში 15 თებერვლიდან 3 მარტამდე გამოცხადებული შესვენება წესით და რიგით სანაკრებო მზადებას უნდა დათმობოდა. ფედერაციის აღმასკომის ბოლო სხდომაზე მიღებული ეს გადაწყვეტილება ეროვნულ გუნდს ამბიციამოჭარბებულ ლატვია-იტალიასთან ღირსეულად სამასპინძლოდ, ანუ სრულფასოვანი საწვრთნელი პროცესისთვის უნდა გამოეყენებინა, თუმცა ჩვენი კალათბურთის მამების გადაწყვეტილების სისწორეში ამთავითვე შეიძლება ეჭვის შეტანა, რადგან 24 თებერვლამდე სულ რაღაც ექვსიოდ დღე რჩება, ნაკრები კი ჯერაც დაუკომპლექტებელი და მოუმზადებელია. აქედან დასკვნა — რა აზრი ჰქონდა ჩემპიონატის ერთი კვირით ადრე შეწყვეტას?

საპასუხო არგუმენტად მხოლოდ ის თუ გამოდგება, რომ საყოველთაო კრიზისის ჟამს, როცა არც შეკრება ხერხდება და არც ლეგიონერების ჩამოყვანა, ნაკრების მწვრთნელ ლევან მოსეშვილს მხსნელად სირიული „პაეზდკა“ მოევლინა, მაგრამ არ შეგეშალოთ — ეს „დინამოს“ კუთვნილი სიამოვნება იყო და არა ნაკრების. მიუხედავად ამისა, პირტიტველა დინამოელებთან ერთად მოსეშვილმა შინაურ ჩემპიონატში მობურთალი ეროვნული გუნდის კანდიდატებიც წაასხა სირიაში, თუმცა ესეც ვერაფერი ნუგეშია, რადგან არა გვგონია, ავტობუსით ხუთდღიანი აუტანელი მგზავრობა და სირიულ (!) კლუბებთან სპარინგ-პარტნიორობა უფრო წაადგეს ნაკრებს, ვიდრე თუნდაც დიღმის საწვრთნელ ბაზაზე სამი-სამზე ცალ ფარში თამაში. ამის თქმის საბაბს ისიც გვაძლევს, რომ ჩვენში შესაძლოა ბევრმა მხოლოდ ახლა გაიგო სირიული კალათბურთის შესახებ. თავგადაკლული გულშემატკივარიც კი, ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერ გაიხსენებს თუნდაც ერთ იქაურ კლუბს, ანაც კალათბურთელს...

ქართველების სირიულ ვოიაჟს კიდევ არაერთხელ დავუბრუნდებით, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის კარსმომდგარ შეხვედრებში რისი უნდა გვეიმედებოდეს? ბევრის არაფრის. უკვე ნაგებულ რვა თამაშს, ალბათ, ორიც დაემატება. ამის წინაპირობა კიდიაბაც რომ არსებობს. თუნდაც იმიტომ, რომ გადაჭრით ჯერაც ვერავინ ამბობს, გვეყოლებიან თუ არა ლეგიონერები.

ფედერაციიდან გამოსულ ხმებს თუ ვერწმუნებით, ისინი ყველა ღონეს იხმარენ, რათა წინასწარვე ნასაგებად განწირულ ამ მატჩებში გუნდს ლეგიონერები შეაშველონ. ასეთი სულ შვიდია, თითოეულისთვის უკვე მოწვევის შეტყობინებაც გაუგზავნიათ და ზოგიერთ მათგანს თანხმობაც შემოუთვლია, თქვენ ოღონდ ფინანსური საკითხები მოგვიგვარეთო.

ასეც რომ მოხდეს, მაინც საეჭვოა, რუსულ „ურალ გრეიტში“ მოთამაშე ვაკო ბეჟანიშვილი და უკრაინული „ნეფტოხიმავალის“ თავდამსხმელი ლევან ქარაბაკი ვიხილოთ თბილისში. ვაკოს თურმე გუნდი არ ათავისუფლებს, ურალელები ნაკრების ხელმძღვანელობას სთხოვენ, ბეჟანიშვილის მინვევისგან თავი შეიკავეთო, ლევანი კი ფეხს იტკივებს და, რომც გამოვუშვათ, ვერაფერში დაგეხმარებათო, უთქვამს ქარაბაკის უკრაინელ მწვრთნელს.

სათუოა კაპიტან ვატო ნაცვლიშვილის მონაწილეობაც, რომელიც კარგა ხანს უგუნდოდ იყო და სასურველი კლუბის ძიებაში ესპანეთში ამოჰყო თავი, სადაც მალაგის რომელიღაც კლუბში სარფიან კონტრაქტს ჰპირდებიან. ამ საქმის დეტალებზე ფედერაციამ მეტი არაფერი იცის და, თუ შეგვეხმიანება, შევეცდებით, ჩამოსვლაზე დავიყოლიოთო, გვითხრა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დუდუ დადიანმა და დასძინა, რომ ნაცვლიშვილის ესპანეთში მოსალოდნელი გამგზავრების შესახებ მათ წინასწარ უნდა სცოდნოდათ, რათა ნაკრების ლეგიონერი კანდიდატების სიაში შეეყვანათ. ვატოს ჩამოსაყვანად ახლა დამატებითი სახსრების მოძიებაა საჭირო, რაც არცთუ ადვილი საქმეაო — ამბობს დადიანი.

ერთი სიტყვით, ნაკრების სრული შემადგენლობით შეკრებას ფედერაცია ოცდაერთისთვის გეგმავს და რა და როგორ იქნება, ამასაც მალე შევიტყობთ.

დიმიტრი ნიშნიანიძე

16 თებერვალი

ინდიანა 78:89 მაიამი

ინდიანა: მულინი (17)
მაიამი: ბრაუნი (22), მურნინგი (19 ქულა, 10 მოხსნა)

აღმოსავლეთის ორი ფავორიტის შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა. მასპინძელ ინდიანას მატჩის მოგების იმედი ჰქონდა და თამაშამდე იქადნებოდა, მაიამის შავ დღეს დავაყრიო, მაგრამ როგორც იმ შეხვედრაში ითამაშა, იმგვარი გარჯით ბევრს ვერაფერს მიაღწევს. არსად ჩანდა ლარი ბერდის შეგირდთა დალაგებული, კომბინაციური თამაში, სადღაც დაკარგულიყვნენ ინდიანას ლიდერები რიკ სმიტსი, მარკ ჯეკსონი და რეჯი მილერი. ამ უკანასკნელმა მხოლოდ მეოთხე მეოთხედის დასაწყისში გამოიდო თავი და საბოლოოდ 11 ქულით დაკმაყოფილდა. თავისივე უსუსურობამ ისე გააცოფა „ოქროსხელება რეჯი“, რომ მსაჯებთან კამათს მიჰყო ხელი და ამათაც მოედანი დაატოვებინეს. მანამდე ასე თუ ისე ნორმალურად მოთამაშე ინდიანაში მარტო მილერი არ გაცეცხლებულა. ბოლო მეოთხედში ნერვები ვერც „პეისერზის“ მთავარმა მწვრთნელმა ლარი ბერდმა მოთოკა, მსაჯებმა კი მისი ავტორიტეტი არად ჩაგდეს და ისიც ტექნიკური ჯარიმით „დაასაჩუქრეს“. რაილის ბიჭებმა კი მშვენივრად გაართვეს თავი ძნელ ამოცანას და ღირსეულად იმარჯვეს. მაიამელთაგან შეუდარებელი იყო ცენტრ ალონზო მურნინგისა და თავდამსხმელ ფი ჯეი ბრაუნის დუეტი, რომელმაც აშკარად დაჩაგრა ინდიანას წინა ხაზი.

კლივლენდი 90:78 ორლანდო

კლივლენდი: კემპი (18)
ორლანდო: სტრონგი (14 ქულა, 10 მოხსნა)

საკმაოდ პერსპექტიულმა კლივლენდმა ცუდი სტარტის, ანუ სამი წაგების შემდეგ მდგომარეობა გამოასწორა და ზედიზედ ამდენივე მატჩი მოიგო. მასპინძლები შეხვედრამდე დიდი პრობლემის წინაშე იდგნენ. მათმა ძირითადმა ცენტრმა, ლიტველმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა წინა მატჩში მარჯვენა ტერფის ტრავმა მიიღო და ორლანდოსთან გამოუსადეგარი შეიქნა. ეს პრობლემა მეორე ექსსაბჭოელმა, უკრაინელმა ვიტალი პოტაპენკომ გადაჭრა და საკმაოდ წარმატებითაც. მან 16 ქულა მოუტანა თავის გუნდს და კემპთან ერთად პირში ჩალა გამოავლო ორლანდოელ მეურვეებს. „ვიცოდი, რომ ძირითადში უნდა მეთამაშა და მატჩის დაწყებამდე ცოტათი ენერვიულობდი კიდეც, მაგრამ სკამიდან რომ წამოვდექი, ჩემი თავის ვირწმუნე და შევეცადე, აგრესიული ვყოფილიყავი“ — თქვა ამ 216-სანტიმეტრიანმა გიგანტმა მატჩის შემდეგ. მისმა კლივლენდმა კი პირველი მეოთხედის 29:14 მოგებით საქმე სანახევროდ მოითავა, მატჩი გამარჯვებამდეც მიიყვანა და ერთი კვირის წინ ცენტრალური დივიზიონის ფსკერზე მყოფი, მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა.

ნიუ ჯერსი 97:82 დეტროიტი

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (35)
დეტროიტი: ჰილი (22)

დეტროიტმა ორი ძირითადი უკანახაზელი — ჯო დუმარსი და ლინდსი ჰანტერი მოისაკლისა და ნიუ ჯერსის მხოლოდ ერთი ხეირიანი მცველის, ჯერი სტეკჰაუზის (15) ამარა ესტუმრა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებსაც აკლდათ გამთამაშებელი სემ კასელი, მისმა უკანა ხაზმა კიტლზის (15), მერდოკისა (13) და გილის (11) შემწეობით ბრდღვინი ადინა დეტროიტელს. უმთავრესი აღნიშვნის ღირსი კი მაინც ერთი მოთამაშეა — ნიუ ჯერსის თეთრი თავდამსხმელი კიტ ვან ჰორნი, რომელმაც 35 ქულა ჩაუგდო „პისტონზს“ და თავისი კარიერის რეკორდიც დაამყარა. იმ დღეს ვან ჰორნს ყველაფერი გამოსდიოდა და მისი გაჩერებელი არავინ იყო. მასთან რომ ვერას გახდნენ, დეტროიტელებმა ჯარიმებით გადაწყვიტეს ფონს გასვლა, თუმცა კოზი ნაცარში ჩაუვარდათ — ვან ჰორნმა 13 სროლიდან 12 ჩაგდო. დეტროიტელები მალე გატყდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მსაჯებმა მათი მწვრთნელი ელვინ ჯენტრი მოედნიდან გაისტუმრეს. მან კი, როდესაც მატჩის კომენტარი სთხოვეს, თავის შეგირდთა უსუსურობა ვან ჰ ორნის ბრწყინვალე თამაშს გადააბრალა და მას დიადი მოთამაშე უწოდა.

ფილადელფია 92:93 მილუოკი

ფილადელფია: აივერსონი (23), რეთლიფი (21 ქულა, 10 მოხსნა)
მილუოკი: რობინსონი (18), ჰილი (16 ქულა, 10 მოხსნა)

ფილადელფიაში მშვენივრად ირჯებოდნენ ალენ აივერსონი და თეო რეთლიფი. ორივეს ცოტაღა დაკლდა სამმაგ დუბლამდე — რეთლიფს ორი დაფვრება, აივერსონს კი თითო-თითო მოხსნა და პასი. მათთვის ეს სამმაგი დუბლი პირველი იქნებოდა კარიერაში, მაგრამ ასე არ მოხდა. ფილადელფიამაც წააგო მომძლავრებულ მილუოკისთან, თუმც მოგება შეძლო. სტუმრები მთელ 13 ქულას აგებდნენ, მაგრამ რობინსონისა და ბრენდონის (15) თავგამოდებული თამაშის წყალობით მასპინძლებს დაეწივნენ, საფინალო სირენამდე 0,1 წამით ადრე კი რობინსონმა სულაც გამარჯვების მომტანი ბურთი ჩააგდო.

ნიუ იორკი 95:85 ტორონტო

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (20)
ტორონტო: კარტერი

ამ თამაშში ერთმანეთს ნიუიორკელი მარკუს კემბი და ტორონტოელი ჩარლზ ოკლი დაუპირისპირდნენ. კლუბებმა ეს კალათბურთელები სეზონის დაწყებამდე გაუცვალეს ერთმანეთს და ამიტომაც მათი შერკინება ძალიან საინტერესო იყო. საბოლოოდ კემბიმ პირველად ახალ სეზონში დუბლი — 11 ქულა და 12 მოხსნა გაახერხა, ოკლი კი, 11 ქულას დასჯერდა. „მედისონ სკვერ გარდენში“ ნიუიორკელებმა აპლოდისმენტებით დაჯილდოვეს ბეხრეკი ოკლი, ვისაც „ნიუ იორკ ნიქსში“ 10 სეზონი გაუტარებია და გუნდის შეუცვლელი მოთამაშეც გახლდათ. თვითონ მატჩი კი ნიუ იორკმა მოიგო და საკმაოდ იოლადაც.

ჰიუსტონი 109:92 ფინიქსი

ჰიუსტონი: პიპენი (19 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), ოლაჯუონი (19 ქულა, 11 მოხსნა)
ფინიქსი: კიდი (24 ქულა, 11 პასი)

ჰიუსტონის ერთ-ერთმა ლიდერმა, ტრავმებით გაწამებულმა სერ ჩარლზ ბარკლიმ დიდი მონდომების მიუხედავად ეს შეხვედრაც გამოტოვა თავის ყოფილ გუნდთან, რომელიც 1993 წელს ნბა-ს ფინალში გაიყვანა. თუმცა „როკეტსს“ მისი ჯიგრიანი თამაში არც სჭირდებოდა — პიპენმა და ოლაჯუონმაც იოლად გაართვეს საქმეს თავი. მატჩის შემდეგ პიპენი გუნდის თამაშით აღფრთოვანებული იყო და საკუთარი გარჯითაც კმაყოფილი გახლდათ: „ახლა უფრო კარგად ვგრძნობ თავს თავდასხმაში, ვიდრე სეზონის პირველ მატჩებში. მოხარული ვარ დომინატორი ცენტრის (ჰაკიმ ოლაჯუონი იგულისხმა) გუნდში თამაშით. ჰიუსტონი სწორედ ის კლუბია, სადაც თამაში ღირს“ — თქვა მან, ჰიუსტონმა კი სეზონის პირველ მატჩში ლეიკერსთან მარცხის შემდეგ გამარჯვებათა სერია ხუთამდე გაზარდა.

ჩიკაგო 67:83 ატლანტა

ჩიკაგო: კუკოჩი (27 ქულა, 10 მოხსნა)
ატლანტა: სმიტი (17)

შვიდი დღის წინ ატლანტაში დამარცხების შემდეგ ჩიკაგომ ვერც შინ მოუხერხა რამე ატლანტელ „ქორებს“. მასპინძელთაგან ისევ და ისევ ერთი კაცი, ხორვატი ტონი კუკოჩი ცდილობდა რაიმე ღირებულის გაკეთებას. თუმც, ვერაფერი შეძლო და ბოლო სამი წლის ჩემპიონი ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა.

კლიპერსი 89:93 ვანკუვერი

კლიპერსი: ტეილორი (21 ქულა, 20 მოხსნა)
ვანკუვერი: მეკი (20), აბდურ-რაჰიმი (20)

უსუსურ კლიპერსს აქამდე ხუთ მატჩში ვერ გაემარჯვა და ვერც ახლა მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იწვალა, იომა და ვანკუვერს ძირითადი დროის გარდა ორ ოვერტაიმშიც ებრძოლა. ლოსანჯელესელები ოლოვკანდის შემატების მიუხედავად კვლავაც ერთადერთ გუნდად რჩებიან ნბა-ში, ვისაც თამაშიც კი არ მოუგია.

ლეიკერსი 116:88 შარლოტი

ლეიკერსი: ონილი (20 ქულა, 12 მოხსნა), ფოქსი (20)
შარლოტი: ფილზი (20)

სულ სხვაა მეორე ლოსანჯელესური გუნდი — ლეიკერსი. თუ კლიპერსს, ფაქტობრივად, ვარსკვლავი არ ჰყავს და ჯერაც ერთ მოგებაზე ოცნებობს, ვარსკვლავებით გაჭედილი ლეიკერსი, რამდენიმე მარცხის მიუხედავად, კვლავ ითვლება ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად. მის კლანჭებში მოქცეულმა შარლოტმა თავის თავზე გამოსცადა შაკილ ონილისა და მისი თანაგუნდელების ძალა. ონილმა, რომელმაც წინა მატჩი გამოტოვა, სულ იოლად დაჯაბნა მეტოქე, ვისაც არ ჰყავს ცენტრის ამპლუაში მოთამაშე კალათბურთელი.

საკრამენტო 101:98 ბოსტონი

საკრამენტო: ვებერი (22 ქულა, 15 მოხსნა), დივაცი (16 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი)
ბოსტონი: მერსერი (24)

ორი მშვენიერი თავდამსხმელის, საკრამენტოელი კრის ვებერისა და ბოსტონელი. ანტუან ვოლკერის (17 ქულა, 12 მოხსნა) დუელში საკრამენტოელმა იმარჯვა, მასპინძლებს კი კორლის ვილიამსონმა (22 ქულა) მოაგებინა, რომელმაც მატჩის დამთავრებამდე 7 წამით ადრე გადამწყვეტი საქმულიანი ჩააგდო.

ირაკლი ფირაშვილი

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

წაუგებელი მარტო სიეტლია

სიეტლი 71:56 იუტა

სიეტლი: პეიტონი (17), ლუისი (4), შრემპფი (8), ბეიკერი (6), პოლინარსი (4); ელისი (11), ნორისი (9), ჰოკინსი (8), ვილიამსი (4)
იუტა: სტოქტონი (3), ანდერსონი (8), რასელი (9), მელოუნი (15), ოსტერტაგი (1); ფალერი (8), ევენტი (4), ფოსტერი (3), ეისლი (3), კინგი (2), ვონი, კიფი

სიეტლს ეს მოგება თამამად შეიძლება გმირობად ჩაეთვალოს. კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში ორი გუნდიღა იყო, ჯერ ერთი მარცხიც რომ არ ეწვნია. ზედიზედ ექვსჯერ გამარჯვებულ იუტასა და ხუთი მატჩის მომგები სიეტლის შერკინებაში ვლადიმერ სტეფანიას გუნდმა იძალა. მართალია, ქართველს არ უთამაშია, მაგრამ ჩვენთვის მაინც სასიხარულოა, რომ იგი ასეთ ძლიერ გუნდში გვეგულება.

სიეტლმა მოუგო გუნდს, რომელიც ბოლო ორი წელია, ნბა-ს ფინალში გადის, თანაც ისე, რომ იუტას კარგა ხანს გაჰყვება სამარცხვინო მარცხის სიმწარე. „ჯაზს“ რომ ორი ქულით ნაკლები მოეგროვებინა, ნბა-ს ყველა დროის ანტირეკორდს გამოჰკრავდა ხელს, რომელიც შარშან სან ანტონიოსთან შეხვედრაში ოდენ 55 ქულის გამკეთებელმა ინდიანამ დაამყარა. „როდესაც 56 ქულას აგროვებ, შეუძლებელია, მოგებაზე იფიქრო. ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს, ასე ცუდად გავრჯილიყავით. ჩვენი დღევანდელი თამაში სკოლის დონისა იყო“ — მატჩის შემდეგ კარლ მელოუნმა თავისი გუნდის უსუსურობა აღიარა. სხვათა შორის, იგი ერთადერთი იუტელი იყო, რომელმაც ათზე მეტი ქულა მიითვალა. სიეტლში კი, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ბრწყინვალე იყო გერი პეიტონი, ვინც 17 ქულას 11 მოხსნა და 8 პასიც დაუმატა. იგი ორივე გუნდში საუკეთესო იყო ამ სამივე კომპონენტში. მისმა საუცხოო თამაშმა დაცვაში კი იუტას მძლავრ თავდასხმას უდიდესი პრობლემები შეუქმნა და „ჯაზის“ შერცხვენის მთავარი მიზეზიც გახდა.



REUTERS სიეტლიდან

სიეტლი — იუტა. გერი პეიტონმა (მარცხნივ) მარტო ჯონ სტოქტონი კი არა, მთელი იუტა შეარცხვინა

ეროვნული

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
ორლანდო	5	2	71,4
ფილადელფია	4	2	66,7
ნიუ იორკი	4	2	66,7
მაიამი	4	3	57,1
ბოსტონი	2	3	40,0
ნიუ ჯერსი	2	4	33,3
ვაშინგტონი	1	3	25,0

ცენტრალური დივიზიონი

მილუოკი	4	1	80,0
ატლანტა	5	2	71,4
ინდიანა	4	3	57,1
კლივლენდი	3	3	50,0
დეტროიტი	3	4	42,9
ტორონტო	1	4	20,0
ჩიკაგო	1	5	16,7
შარლოტი	1	5	16,7

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

იუტა	6	1	85,7
ჰიუსტონი	5	1	83,3
მინესოტა	4	2	66,7
სან ანტონიო	4	3	57,1
ვანკუვერი	3	3	50,0
დალასი	1	6	14,3
დენვერი	1	6	14,3

წყნარი ოკეანის დივიზიონი

სიეტლი	6	0	100
პორტლენდი	3	2	60,0
ფინიქსი	4	3	57,1
ლეიკერსი	4	3	57,1
საკრამენტო	3	3	50,0
გოლდენ სტეიტი	2	5	28,6
კლიპერსი	0	6	0

ოლიმპო

დღეს, როცა ქართულ სპორტს ძალიან უჭირს, მისთვის გაღებულ ყოველ თეთრს განსაკუთრებული ფასი აქვს. მით უმეტეს, თუ ეს ხდება უხუმრად, ყოველგვარი ხმამაღალი განცხადებებისა, სარფის ნახვის სურვილისა და მოლოდინის გარეშე. ასეთ ქმედებას „მეცენატობა“ ეწოდება და რაოდენ მცირეც უნდა იყოს მეცენატის მიერ რაიმე საქმისთვის შეწირული თანხა, ის მაინც დიდ, სამაგალითო საქმეს აკეთებს



ჯემალ ცერცვაძე

ბადრი ქათილაძის ფოტო

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი 1989 წელს შეიქმნა, ერთ წელიწადში კი მის მხარდასაჭერად და დასახმარებლად რეგიონული ორგანიზაციები ჩამოყალიბდა. გვსურს, სწორედ ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ სეოკის თბილისის რეგიონული ორგანიზაცია და მისი საქმიანობა გაგაცნოთ უფრო ახლოს.

1990 წლის 4 ივნისს საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტის ბალანსიდან სეოკს გადაეცა ყოფილი „ გორკის პარკი“. ზუსტად ორი დღის შემდეგ ეს თითქმის ორჰექტარიანი ფართობი თავისი მოძველებული შენობა-ნაგებობებით თბილისის რეგიონული ორგანიზაციის კუთვნილება გახდა. „მძიმე წლები გადავიტანეთ, ომისა და განუკითხაობისა. ძალიან ძნელი იყო პარკის შენარჩუნება და განადგურებისგან დაცვა. ხშირად ყოფილა შემთხვევა, იარაღიანი ხალხი დაგვსხმია თავს ათასგვარი მოთხოვნით, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი გავიტანეთ, აქაურობა დანგრევას გადავარჩინეთ და ბევრი რამ შევმატეთ კიდეც“ — ამბობს თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ბატონი ჯემალ ცერცვაძე.

ალბათ, მკითხველს ეს სახელი ეცნო. დიახ, სწორედ წარსულში უძლიერესი ქართველი ხელბურთელი უდგას ამ საქმეს სათავეში. პარკის უბრალოდ მოვლა ვერაფერი საქმე იქნებოდა, მისი განვითარებისთვის საკმაო ფული იყო საჭირო. თბილისის რეგიონალურ ორგანიზაციას არც სეოკისგან მიუღია 1990 წლის 6 ივნისის მერე აღარაფერი და არც სახელმწიფოსგან. ჰოდა, ჯემალ ცერცვაძემ თავისი მეგობრებისა და გამგეობის წევრების დახმარებით შექმნა მრავალდარგოვანი მცირე საწარმო „ოლიმპო“, რომელიც მოგვიანებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გადაკეთდა. „ოლიმპოს“ საქმიანობისთვის საჭირო ფული კი პირადი ქონების გაყიდვით იშოვეს. თვითონ ჯემალ ცერცვაძემ ნაძალადევში ორსართულიანი სახლი და მანქანა გაყიდა, შპს-ს დირექტორმა ნოდარ დონაძემ, ყოფილმა ჰოკეისტმა, მანქანა...

იმ დღიდან მოყოლებული „ოლიმპო“ „ოლიმპიური პარკის“ კეთილმოწყობისთვის და ახალგაზრდობის ოლიმპიური სულისკვეთებით აღზრდისთვის თანხებს არ ზოგავს და ეს კეთდება ყოველგვარი გამორჩენის გარეშე, თანაც უხმაუროდ. ეს ადამიანები, შეიძლება ითქვას, მეცენატები არიან.

რას საქმიანობენ თბილისის რეგიონული ორგანიზაცია და „ოლიმპო“? ჯერ ერთი, ისინი შეძლებისდაგვარად დახმარების ხელს უწვდიან ვეტერანებსა და ინვალიდებს, ლტოლვილებს; ამასთანავე „ოლიმპიური პარკის“ ტერიტორიაზე შექმნეს სპორტული კლუბი, სადაც 400-ზე მეტი ბავშვი ყოველგვარი გადასახადის გარეშე ვარჯიშობს კრივის, კარატეს, ფეხბურთისა და სპორტული ცეკვების სექციებში; და კიდევ, ისინი სპორტული ინვენტარით ამარაგებენ სხვადასხვა ქალაქების პატარებს. მგონი, საკმარისზე მეტია.

ჯემალ ცერცვაძე ამ საქმეს დიდი ხანია, ემსახურება. გლდანში 70-იანი წლების ბოლოს ხელბურთის მშვენიერი სკოლა აშენდა. იმ მშენებლობის წამომწყები და დამბოლოვებელიც ყოფილი ხელბურთელი იყო. 3 დარბაზი, პატარა სასტუმრო, სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრი, ფონო და ვიდეო კაბინეტები... ყველაფერ ამის გაკეთებას საკმაო რაოდენობის თანხა, დრო და ენერგია დასჭირდა. ბატონი ჯემალი ათკაციან ჯგუფთან ერთად ერთი თვით ბამზეც კი წასულა ხე-ტყის ჩამოსატანად!

ერთი სიტყვით, ეს ხალხი კარგ საქმეს აკეთებს. აქვე გვინდა შემოგთავაზოთ მცირე ინტერვიუ ჯემალ ცერცვაძესთან:

— თქვენს საქმიანობაში, ვგულისხმობ ოლიმპიზმის მხარდაჭერას, სეოკთან ერთად მოქმედებთ თუ...

— არა. ჩვენ მარტონი ვაკეთებთ ყველაფერს, თბილისის 10 რაიონულ კომიტეტთან ერთად. სეოკთან ერთად, ფაქტობრივად, ერთი ღონისძიებაც არ ჩაგვიტარებია. ამასთანავე არანაირ ფინანსურ დახმარებას არ ვიღებთ არც სეოკისგან და არც სახელმწიფოსგან.

— „ოლიმპიური პარკის“ ტერიტორიაზე მოქმედი სპორტული სექციებიდან ყველაზე დიდი წარმატებები რომელს აქვს?

— კრივისას. ჩვენი ძალებით ჩავატარეთ 25 შეჯიბრი. გარდა ამისა, ჩვენი აღსაზრდელები საკმაო წარმატებით გამოდიან შინაურ თუ საერთაშორისო ტურნირებზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან პერსპექტიული ბავშვები იზრდებიან, რომლებიც მალე ასახელებენ სამშობლოს.

— ოლიმპიური იდეალებისთვის მოღვაწეობა ძალიან კარგია, მაგრამ ხელბურთთან თუ შეინარჩუნეთ კავშირი?

— რა თქმა უნდა. ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვარ და საქართველოში ამ ოლიმპიური სახეობის აღორძინებაზეც ვზრუნავ, რაც ძალიან ძნელი საქმეა, რადგან ამისთვის დიდძალი ფულია საჭირო, ფინანსები კი არ ჩანს. რეგიონებში ხელბურთს თითქმის აღარავინ თამაშობს, თბილისშიც ენთუზიასტებიღა დარჩნენ. ნაკრებიც, რომელსაც შარშან „ოლიმპო“ 3000 დოლარით დახმარა, სავალალო მდგომარეობაშია, რადგან საერთაშორისო დონეზე თამაშისას თავი რომ არ შეირცხვინო, წელიწადში, სულ ცოტა, 60 მატჩის გამართვა მაინც უნდა მოახერხო. ამის გარეშე სპორტული ფორმის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელია. ადრე კი სულ სხვაგვარად იყო. იმედი მაქვს, ქართული ხელბურთი კვლავ იტყვის თავის სიტყვას მსოფლიოში.

— გმადლობთ საუბრისთვის, წარმატებებს გისურვებთ.

და ბოლოს, „ოლიმპო“ მარტო სპორტის დახმარებით არ შემოიფარგლება, რისი დასტურიცაა წლის დამდეგს მის მიერ მოწყობილი საახალწლო ნაძვის ხის ზეიმი, რომელსაც უამრავი ბავშვი უფასოდ დაესწრო. ერთი სიტყვით, ეს ხალხი დიდ საქმეს აკეთებს.

გაიოზ თალაკვაძე

ნავსი გაგუდა!

ბათუმში ევროპის ჭაბუკური ჩემპიონატი გაიმართება

ათი წელია, საქართველოში ხერხანი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი არ გამართულა. ომმა და სხვა უბედურებებმა ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული ხალისი დაუკარგა მსოფლიოს საჭადრაკო ელიტის წარმომადგენლებს. ისტორიას ჩაბრდა ის დრო, როცა ტალი და კამპმანესი ბორჯომში ადგილობრივ მინერალურ წყალს აკვდნენ, ხოლო თელავში საუკრავით სავსე ჭიქებსა და ხანდახან ყანწებსაც უთამამდებოდნენ. ამ დამორგუნველი სიტუაციის მიუხედავად, ქართულმა ჭადრაკმა შეინარჩუნა ადგილი მსოფლიოს რჩეულთა შორის; მეტიც, იგი ახლა პროგრესს განიცდის და ამის გამო ჭადრაკში მოღვაწე ქართველობა მხოლოდ კომპლიმენტების ღირსია.

და მაინც, ასე გაგრძელება, ცხადია, აღარ შეიძლებოდა, ქვეყანაში ჭადრაკის შემდგომი პოპულარიზაციისთვის თუნდაც ერთი ძლიერი საერთაშორისო შეჯიბრების გამართვის საჭიროება მეტად აშკარა იყო და შესაფერისი ნაბიჯიც გადადგა: საქართველომ ევროპის გუნდური ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი გამოთქვა. ჩვენი ქვეყნის გარდა ამ მაღალი რანგის ტურნირის ჩატარებაზე კიდევ 10 (!) ევროპული ქვეყანა აცხადებდა პრეტენზიას, ციცქნა ანდორით დაწყებული და გიგანტი რუსეთით დასრულებული.

ჩემპიონატის მასპინძელი 12-13 თებერვალს დორტმუნდში გამართულ ევროპის საჭადრაკო კავშირის სხდომას უნდა დაესახელებინა, მანამდე კი კავშირის პრეზიდენტმა, სლოვენმა ბორის კუტნმა ლამის მთელი ევროპა მოიარა და ჩემპიონატის ყველა შესაძლო მასპინძელს ესტუმრა. იყო ბათუმშიც, საიდანაც ფრიად კმაყოფილი გაბრუნდა და იმედიანი სიტყვებიც დატოვა: თქვენი ქვეყანა კონკურსის ფავორიტებშიაო.

ახლა კი გავიმეორებთ სათაურში მოყვანილ ფრაზას და გაცნობებთ, რომ ოქტომბერში ევროპის გუნდურ ჩემპიონატს ბათუმი უმასპინძლებს. დორტმუნდში ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა და სულ რამდენიმე თვეში ქართულ შავზღვისპირეთში პრაქტიკულად მთელ ევროპულ საჭადრაკო ელიტა შეიკრიბება. დორტმუნდის თავყრილობის წვრილმანებს რაც შეეხება, დღეს ჩვენი ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი ზურაბ აზმაიფარაშვილი პრესკონფერენციას გამართავს და ხვალ უკლებლივ ყველაფერს გაცნობებთ.

დავით გულუა

შენი გადარჩენისა იყოს, იზაბელ!

იზაბელ ოტისიემ გადარჩენის სადღეგრძელოც დალია

ანტარქტიდის აბობოქრებულ წყლებში ნაავარიალსა და საკუთარ ღრანჭმოქცეულ იახტის შიგნში გამოკეტილ იზაბელ ოტისიეს გუშინ მისმა კოლეგამ — იტალიელმა ჯოვანი სოლდინიმ მიუსწრო. როდესაც მათ შორეული ხმელეთიდან შეეხმიანენ, გადარჩენილი ქალი და მისი მამაცი მხსნელი ყველით შეკეთებულ მაკარონს შექციელნენ და ზედ ჯოვანის ბაბუის მიერ დაყენებულ შავ ღვინოს აყოლებდნენ. „იტალიურ ტურნეში ვარ და მაგრადაც ვკაიფობ“ — უთქვამს იზაბელს. „მაგას რა უჭირს — ყოველთვის კარგ ხასიათზეა და რამე“ — დაუჭერიათ ხმელეთზე. ჩვენ კი მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ იზაბელ ოტისიე მარტოხელა „იახტსვუმენია“, წლების განმავლობაში გარსაქვეყნო რეგატებში მონაწილეობს, ამჟამინდელ კლასიფიკაციაში პირველი საფეხური უკავია, ხოლო ზელანდიიდან ურუგვაისაკენ მიმავალი ეტაპის შუაგულში, ანუ იქ, სადაც მძვინვარე ტალღებმა უწიეს, მეორე ადგილზე მიდიოდა. და კიდევ — ამ ხუთი წლის წინ იზაბელს ინდოეთის ოკეანეში ჭყუმპალაობაც მოუხდა, მაგრამ მარტოხელად იახტაში წანწალს მაინც ვერაფერი ანცვალა და ისევ მარილიან აფრებს დაუბრუნდა.

ლევან კელაურაძე

სამარანჩის ხავსი



ხუან ანტონიო სამარანჩს მძიმე ჟამი უდგას

სარბიელის არქივიდან

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯომარის, ხუან ანტონიო სამარანჩის ხსენებაზე ზრდასრულ ადამიანს ხავსის ასოციაცია ორი რამის გამო უჩნდება: პირველად იმიტომ, რომ მისი ფიგურა ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე ისეთივე ხავსმოკიდებულია, როგორც ეროვნების გრაფა ევროკავშირელი მძღოლის მოწმობაზე; მეორეც, „სკანდალწაღებული“ ორგანიზაციის მეთაური ისევე ეძებს ხელმოსაჭიდ ხავსს, როგორც მექრთამე — ქრთამისმიმცემს. ხოლო რადგანაც ვინც ეძებს, ის პოულობს კიდეც, სენიორ სამარანჩს ამგვარი ხავსიც გამოუჩნდა

ზაფხულის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების მსოფლიო ასოციაციამ (**ASOIF**), რომლის პრეზიდენტიც მძლეოსანთა მახვში, პრიმო ნებიოლოა, „სკანდალშემდგარ“ სამარანჩს გუშინ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. ასოციაციის მაღალგონივრული აზრით, ერთადერთი, ვისაც მექრთამეობის მყრალი ჭაობიდან სოკის გამოყვანა შეუძლია, სწორედ ნეტარხსენებული პრეზიდენტია.

„ამ მძიმე ჟამს, როდესაც ძალა, სიბრძნე და მონდომება აბსოლუტურად აუცილებელია ოლიმპიური მოძრაობისადმი რწმენის აღსადგენად, მის გამოცდილებასა და ლიდერუნარიანობაში დაეჭვება მხოლოდ ბითური ადამიანების საქმეა“, — სწერია **ASOIF**-ის მიერ გავრცელებულ მოხსენებაში.

როგორც ჩანს, ოლიმპიურ საძმაკაცოს ფრიადი შეფუცხუნება და ბებერი ხუან ანტონიოს პოტენციისათვის გამოქომაგების საჭიროება ამერიკული სადაზღვევო კომპანიის, „ჯონ ჰენკოკის“ პრეზიდენტის, დევიდ დალესანდროს გუშინწინდელმა მუქარამ წარმოშვა. ამერიკელმა მაგნატმა, რომელიც ყოველ ოთხწლიურად სოკ-ის სტომაქში 40 მილიონ დოლარს აპირქვავებს და თავის საფირმო სიმბოლიკასაც ნიადაგ 5 ოლიმპიური რგოლით ამკობს, ლოზანელ მამებს ჭუჭყის ჩამობანვის აუცილებლობისა და საერთოდ, უფრო ჭკვიანად მოქცევისკენ მოუწოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში დალესანდრო, ისევე როგორც სხვა დაეჭვებული სპონსორები, ოლიმპენერგოსთვის თანხების მიწოდების შეწყვეტითა და „ხავსის ძალით ჩამოფერთხვით“ იმუქრებიან. „ხავსის ძალით ჩამოფერთხვაში“ რაც უნდა იგულისხმებოდეს, ეს ზემორე შესავლის შემდეგ ვფიქრობ, ძნელი მისახვედრი არაა.

ლევან კელაურაძე

ჩვენ მაინც წავალთ!

„წასვლა, არწასვლა“ — იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც ოლიმპიადაზე წარმატებულად გამოსვლის არანაირი შანსი არა აქვთ, საკითხავი, აი, ეს ყოფილა. რუმინეთი თითქოს ამგვარ ქვეყანათა რიცხვს არ უნდა ეკუთვნოდეს — ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადაზე რუმინელებმა 4 ოქრო, 7 ვერცხლი და 9 ბრინჯაო მოიპოვეს მაგრამ მას შემდეგ რუმინულ სპორტი უსახსრობას შეუჭირვებია და იქაურ სპორტის მამებსაც ვერასგზით გადაეწყვიტათ, წასულიყვნენ თუ არა სიდნეის საგაისო თავშეყრაზე. ხანგრძლივ ყოყმანს ბოლო გუშინ სპორტის მინისტრმა, იონ ტირაჩმა მოუღო: „ჩვენ არა მარტო წავალთ, არამედ ბევრნი წავალთ — სიდნეიში 220-მდე რუმინელი გამოვა“ — უთქვამს მას. რაც შეეხება საგაისოდ საჭირო თანხებს, რუმინეთის ოლიმპიური კომიტეტი მათ შოვნას საკუთარი ტოტალიზატორებით იმედოვნებს. საკუთარით, რადგანაც აქამდე მოქმედი „საოლიმპიადო დაბეგვრა“ ქვეყნის პარლამენტმა მიზანშეუწონელ საქმედ მიიჩნია.

ᲕᲘᲜ ᲓᲐᲔᲬᲔᲕᲐ ᲞᲘᲜᲒᲕᲘᲜᲡ



AP ფინიქსიდან

ფილადელფიელი ერიკ ლინდროსი (88) კარისკენ რომ მიიწევს, მისი შეჩერება უძნელესი საქმეა, რაშიც ფინიქსელები ერთხელაც დარწმუნდნენ

16 თებერვალი

ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ — ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ 1:4 (0:1 0:2 1:1)

0:1 ლეკლერი 9'40 (36); 0:2 ლეკლერი 30'19 (37); 0:3 ტერტიშნი 31'15 (1); 0:4 დეფარდენი 43'39 (12); 1:4 ჰანსენი 48'43 (2)

სასწაულებრივი ფილადელფიური დუეტი — ერიკ ლინდროსი და ჯონ ლეკლერი — ბომბარდირთა დავაში დაწინაურებული პიტსბურგელი „პინგვინის“ იარომირ იაგრის დევნას აგრძელებს. ფინიქსის დამარცხებაში ყველაზე დიდი წვლილი ლეკლერმა შეიტანა, მან 2 გოლს 2 პასიც დაამატა, თან ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც წინა თამაშში ფილადელფიურ კარიერაში მე-400 ქულა ჩაიწერა. ამჯერად ლინდროსი (1 პასი) არცთუ გამოირჩეოდა, მაგრამ თავისი შედეგიანი სერია 17 თამაშამდე გაზარდა და პერსონალური რეკორდი გაიმეორა, საკლუბო რეკორდამდე კი (ბობი კლარკს ეკუთვნის) მხოლოდ ერთი უკლია.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲝ



ᲛᲐᲘᲙ ᲕᲔᲠᲜᲝᲜᲘ (ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ)

ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ უაღრესად რთულ ათამტჩიან ტურნეს ასე წარმატებით რომ ატარებს, მეტწილად მათი მეკარის მაიკ ვერნონის დამსახურებაა. გასულ კვირას მან გუნდს სამი თამაში მოაგებინა, ხოლო ფინიქსთან შეხვედრაში (3:0) შთაუუტიც კი მიითვალა. ლაურეატად აღიარება ვერნონს, როგორც თავად თქვა, ძალიან გაუხარდა, თუმც იქვე დასძინა, მოხარული ვიქნები, თუ ეს აღმფრენა დეტროიტთან თამაშამდე შემრჩება და მათ დამარცხებაში დამეხმარება. შეგახსენებთ, რომ 1997 წლის თასის ფინალში ტრიუმფის შემდეგ მაიკ ვერნონი მოულოდნელად გაუშვეს დეტროიტიდან. ამიტომაც ყოფილ თანაკლუბელებთან შეხვედრა მეკარისთვის ძალიან პრინციპულია.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲔᲥᲕᲡᲔᲣᲚᲘ

მაიკ ვერნონი (სან ხოსე, 3); *ფრედრიკ ოლაუსონი* (ანაჰაიმი, 2); — *ლარი მერფი* (დეტროიტი, 2); *იარომირ იაგრი* (პიტსბურგი, 5); — *რონ ფრენსისი* (კაროლინა, 1); —*კიპ მილერი* (პიტსბურგი, 1)

კალგარიმ როგორც იქნა, მიაღწია შეთანხმებას — წამყვანი მცველი ფილ ჰაუსლი კიდევ ერთი სეზონით დაიტოვა. 34 წლის ჰოკეისტმა, რომელიც ნჰლ-ის მცველთა შორის 1055 (295+780) ქულით მეოთხე ადგილზეა (ორი კვირის წინ ამ პოზიციიდან თვით აილენდერსის ლეგენდარული მცველი დენის პოტვინი განდევნა), „ალების“ მწვრთნელებს შეტევის პრობლემები გადააწყვეტინა. იგი ლიგაში მე-17 სეზონს ატარებს და ამჟამად 34 (4+30) ქულა აქვს.

* * *

სანხოსელ ბრენტ მაირსს, ეტყობა, მოსვენებას არ აძლევდა ლოსანჯელესელ მეტ ჯონსონის ნოემბერში ჩადენილი „გმირობა“ (მაშინ „მეფეთა“ ფორვარდმა 12-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო) და საკუთარი სახელი ორიგინალური ხერხით „უკვდავყო“. იმავე ლოს ანჯელესთან შეხვედრისას 7 წუთიც არ გასულიყო, როცა მან სათადარიგოთა სკამი მიატოვა, მეტოქეებს გვერდით მიუჯდა და მატიას ნორსტრიომს, რომელთანაც ადრე მოედანზე შელაპარაკება მოუვიდა, ყვანჯი სთხლიშა თავში. ატყდა ჩხუბი. მართალია, ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა მკაცრად შეაფასა მისი საქციელი, მაგრამ მოულოდნელად საკმაოდ მსუბუქი განაჩენი გამოუტანა — 12-მატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარა.

ასე რომ, ლიგის ყველა დროის რეკორდის დასამხობად, რომელიც ვაშინგტონელ დეილ ჰანტერს ეკუთვნის (21-თამაშიანი დისკვალიფიკაცია), მაირსმა უფრო სერიოზული რამ უნდა მოიგონოს...

* * *

სენტ ლუისს სერიოზული განსაცდელის ჟამი უდგას. ორი კვირის განმავლობაში „ბლუზმენებმა“ უკანა ხაზის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოთამაშე დაკარგეს (დაშავებულ მცველებს — კრის პრონგერსა და მარკ ბერუეენს მეკარეებიც დაემატნენ: გრანტ ფიურმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა, ახალბედა რიჩ პარენტმა კი ხელი იტკინა). კიდევ კარგი, ამასობაში მესამე მეკარე, ჯემი მაკლენანი გამოკეთდა, თორემ გუნდი ფარმკლუბელი ბრენტ ჯონსონის იმედზე დარჩებოდა. დაცვაში დარჩენილი ვაკანსიები კი რეინჯერსში ნაყიდმა ჯეფ ფინლიმ და ჯეფ სმიტმა შეავსეს.

ᲡᲐᲛᲔᲒᲚᲝ ᲚᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ჩრდილო-აღმოსავლეთი							
ოტავა	54	30	8	16	158:117	68
ტორონტო	54	30	4	20	175:164	64
ბუფალო	54	26	10	18	146:115	62
ბოსტონი	54	22	9	23	136:127	53
მონრეალი	56	21	8	27	128:147	50

ატლანტა						
ფილადელფია	54	29	13	12	174:114	71
პიტსბურგი	52	30	7	15	170:139	67
ნიუ ჯერსი	55	30	7	18	161:141	67
რეინჯერსი	54	21	7	26	147:151	49
აილენდერსი	56	16	7	33	132:171	39

წყნარი ოკეანე						
დალასი	51	33	8	10	151:104	74
ფინიქსი	54	29	10	15	142:113	68
ანაჰაიმი	53	23	9	23	145:134	55
სან ხოსე	55	20	13	22	129:126	53
ლოს ანჯელესი	55	20	4	31	129:149	44

სამხრეთ—აღმოსავლეთი						
კაროლინა	56	25	9	22	147:144	59
ფლორიდა	54	20	14	20	134:144	54
ვაშინგტონი	54	22	4	28	136:144	48
ტამპა	54	11	5	38	110:195	27

ცენტრი						
დეტროიტი	56	29	4	23	165:141	62
სენტ ლუისი	53	22	9	22	149:140	53
ნეშვილი	55	19	5	31	127:178	43
ჩიკაგო	56	15	8	33	123:179	38

ჩრდილო-აღმოსავლეთი						
კოლორადო	55	29	5	21	149:134	63
ედმონტონი	54	21	8	25	146:142	50
კალგარი	55	19	8	28	137:161	46
ვანკუვერი	55	18	7	30	141:173	43

ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 85 (27+58); ლინდროსი 78 (32+46); ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 74 (37+37); კარია 68 (24+44); სელიანე (ორივე — ანაჰაიმი) 66 (26+40); იაშინი (ოტავა) 62 (26+36); ფორსბერგი (კოლორადო) 62 (16+46); ფლერი (კალგარი) 60 (26+34); საკიკი (კოლორადო) 58 (25+33); სტრაკა (პიტსბურგი) 57 (24+33); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 56 (29+27); დემიტრა (სენტ ლუისი) 56 (25+31); მოდანო (დალასი) 55 (17+38); გრეცკი (რეინჯერსი) 55 (8+47)

გოლები: ლეკლერი 37; ლინდროსი 32; ნესლუნდი (ვანკუვერი) და რობიტაილი 29; ამონტე (ჩიკაგო) 28; ბონდრა (ვაშინგტონი) და იაგრი 27; სელიანე, ფლერი, იაშინი, მაკიჩერნი (ოტავა) და გრეივსი (რეინჯერსი) 26

პასები: იაგრი 58; გრეცკი 47; ფორსბერგი და ლინდროსი 46; კარია 44; სელიანე 40; მოდანო 38; ლეკლერი 37; სუნდინი (ტორონტო) და იაშინი 36; ბრინდამორი (ფილადელფია) 35

მცველები: მაკინისი (სენტ ლუისი) 40 (16+24); დეფარდენი (ფილადელფია) 39 (12+37); მერფი (დეტროიტი) 39 (9+30); ოლაუსონი (ანაჰაიმი) 38 (14+24); საიდორი (დალასი) 38 (12+26); ლიდსტრიომი (დეტროიტი) 36 (10+26); ლიჩი (რეინჯერსი) 36 (9+27); ბურკი (ბოსტონი) 36 (4+32); ჰეჩერი (პიტსბურგი) 35 (10+25); მაკჯილისი (ფილადელფია) 35 (7+28)

ახალგაზრდები: მუკალტი (ვანკუვერი) 33 (15+18); დრური (კოლორადო) 30 (11+19); მორისონი (ნიუ ჯერსი) 29 (7+22); ჰრდინა (პიტსბურგი) 28 (9+19); პერიში (ფლორიდა) 24 (15+9); ჰეიდუკი (კოლორადო) 24 (7+17); შარიფიანოვი (ნიუ ჯერსი) 23 (8+15)

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ლინდროსი და ლეკლერი +40; ჯოუნსი +31; ტერიენი და დეფარდენი (ყველა — ფილადელფია) +29; შენონი (ფინიქსი) +25; კარპოვცევი (ტორონტო) +23

საჯარიმო წუთები: ლოსი (ფლორიდა) 180; რეი (ბუფალო) 167; ოჯერსი (კოლორადო) 161; ბერუბი (ვაშინგტონი) 160; კოტი (ნეშვილი) 154; უორელი (ფლორიდა) 150

მეკარეები: მოგერიების კოეფიციენტი (+). ჰაშეკი (ბუფალო) 93,6; ხაბიბულინი (ფინიქსი) 93,3; ტაგნატი (ოტავა) 93,0; ებერი (ანაჰაიმი) 92,5; დაფო (ბოსტონი) 92,4

ᲥᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲡᲐ, ᲙᲐᲪᲘ?!

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ ᲚᲔᲡᲑᲝᲡᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘᲐ?



ᲐᲛᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲔᲡᲛᲝ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ღია პირველობის ფინალისტი ამელი მორესმო მსოფლიოს მასმედიის ყურადღების ცენტრში მარტო საჩოგბურთო მიღწევების გამო როდი მოხვდა: ბილი ჯინი და მარტინა ნავრატილოვას მაგალითით გამხნევებულმა 19 წლის ფრანგმა მელბურნში საკუთარი ლესბოსელობა საყოველთაოდ გამაჟღავნა და შედეგიც იქვე მოიმკო.

გულახდილობას პირადი ცხოვრების მოგვარება, სცენაზე გელფრენდის — სილვი ბუდრონის გამოჩენა და თამაშში მნიშვნელოვნად მომატება მოჰყვა; მედლის მეორე მხარეს კი ჟურნალისტების გაათკეცებული ყურადღება და კოლეგების არაკორექტული შენიშვნები აღმოჩნდა.

ამ მხრივ განსაკუთრებით მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა გამოიჩინა თავი. „მორესმო აქ თავის გელფრენდთან ერთადაა, იგი ნახევრად კაცია“ — განაცხადა 18 წლის ენაჭარტალა შვეიცარიელმა თუმცა, მერე ამ ათასგზის დაფიქსირებულ-ჩაწერილი ფრაზის წარმოთქმა იუარა და ფრანგისთვის ბოდიშის მოხდაც კი ვერ მოიფიქრა.

„ჰინგისი სულელივით მოიქცა, მაგრამ მე მაინც პატივს ვცემ მას და ვფიქრობ, ისიც ამგვარად მპასუხობს. ამის შესახებ სათქმელი მეტი არაფერი მაქვს, ეს უფრო მისი პრობლემაა“ — აღნიშნა მორესმომ ამ დღეებში პარიზის ცენტრში, ერთ-ერთ barში მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

„ჟურნალისტების მხრიდან ტურნირის ბოლოს ძალიან დიდ ზეწოლას ვგრძნობდი, რასაც ჩვეული არა ვარ. თანაც ორკვირიან პირველობაზე პირველად ვიასპარეზე და ეს მეტად დამღლელი იყო, ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც“ — სწორედ ამიტომ ავსტრალიის ღია პირველობის დასრულებისთანავე მორესმო ყველა მდევარს დაუსხლტა ხელიდან და ორკვირიანი არდადეგები ახალ კალედონიაში გაატარა.

ახალგამომცხვარ ვარსკვლავს და „უმცირესობათა“ საფრანგეთის ეროვნულ გმირს ნამდვილად აქვს დასვენების უფლება — შარშანდელი სეზონის დასაწყისში კლასიფიკაციის პირველი ასეულის გარეთ მყოფი ჩოგბურთელი ამჟამად მსოფლიოს მე-18 ჩოგანია და კიდევ უფრო დიდ ამოცანებსაც უსახავს თავს: „პატარაობიდან ვოცნებობდი, დიდი სლემის ტურნირი მომგო. ერთადერთი, რაც ამჟამად ამისთვის მაკლია, გამოცდილებაა. თუმცა საკუთარ ძალებში ისე ვარ დარწმუნებული, მგონი, მალე მოვახერხებ საწადელის ასრულებას“.

ᲡᲐᲠᲒᲘᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

როგორც ყველა ახალი ვარსკვლავი, მორესმოც ირწმუნება, რომ წარმატება მას არანაირად არ შეცვლის და აცხადებს, სექსუალური ორიენტაციის გამო თავს მარტოსულად სულაც არ ვიგრძნობ, ტურზე ლესბოსელი მარტო მე არა ვარ, უბრალოდ, სხვებს გამჟღავნებისა ეშინიათო.

მართალია, მორესმომ სახელების და გვარების დასახელებიდან თავი შეიკავა, მაგრამ ზემოხსენებულ კატეგორიას, როგორც ამბობენ, „ჰარლი დევიდსონზე“ ქროლვის მოყვარული ესპანელი კონჩიტა მარტინესი და თავის მწვრთნელთან, თავის დროზე არანაკლებად ცნობილ ჩოგბურთელ ჰანა მანდლიკოვასთან საეჭვოდ ახლო ურთიერთობაში მყოფი ანა ნოვოტნაც განეკუთვნება.

რაც შეეხება სილვი ბუდრონს, მორესმომ იგი თურმე საერთო ნაცნობის, ყოფილი ფრანგი ჩოგბურთელის იზაბელ დემონჟოს მეშვეობით გაიცნო.

„ყველაფერი სწრაფად მოხდა, ეს ერთი ნახვით შეყვარება იყო. ჩვენი ურთიერთობა მას ძალიან დაეხმარა: როდესაც პირად ცხოვრებაში კარგად გრძნობ თავს, ეს თავდაჯერება კორტზეც ვლინდება“ — აცხადებს 31 წლის ბუდრონი, რომელიც სენ ტროპეში რესტორნის მფლობელი გახლავთ.

გადაწყვეტილება თავიანთი ურთიერთობის გამჟღავნების შესახებ შეყვარებულებს ერთხმად მიუღიათ, ოღონდ ამით ბევრი არავინ აღფრთოვანებულა — მორესმოს საშვილიშვილოდ გაუუჭირდა შობლებთან ურთიერთობა, მერე კი საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციასთანაც მოუვიდა უთანხმება.

თუმცა ჩოგბურთელი მაინც არ ნანობს: „ასე ყოფნა მირჩევნია. ცხოვრება გაცილებით გაიოლდა“.

ᲠᲐᲤᲢᲔᲠᲡ ᲨᲔᲛᲕᲐᲠᲓᲐ ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ

ჩოგბურთიდან ერთთვიანი დასვენების დროს პატრიკ რაფტერს დრო ტყუილად არ დაუკარგავს. აშშ-ს ღია პირველობის ორგზის გამარჯვებულმა სიდნეიში „პატრიკ რაფტერის საბავშვო ფონდი“ დაარსა, რომელსაც თავისი უფროსი და, ლუიზა ჩაუყენა სათავეში.

ქალების ავსტრალიელ გულთამპყრობელს ბოლო ორი წლის მანძილზე ბრისბენის საავადმყოფოსთვის 540 ათასი დოლარი აქვს გადარიცხული, ამჯერად კი გადაწყვიტა, სხვა ბავშვებისთვისაც ეგრძნობინებინა, თუ რას ნიშნავს ისეთი მოყვარული გარემო, როგორშიც თავად რვა და-ძმასთან იზრდებოდა.

ᲡᲐᲠᲒᲘᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

ᲞᲐᲢᲠᲘᲙ ᲠᲐᲤᲢᲔᲠᲘ

„ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩემს ცხოვრებაში. მჯერა, ბევრს მივაღწევთ და მნიშვნელოვან თანხას შევკრებთ — აღნიშნა რაფტერმა, რომელსაც მარტო საპრიზოებით შარშან 3 მილიონი დოლარი ერგო — ფონდის დასაფინანსებლად თავს და თანხებს არ დავიშურებ“.

რაფტერი იმედოვნებს, რომ მწვანეების საკმაო რაოდენობას იმით მოაგროვებს, რომ ცნობილი ადამიანების მონაწილეობით გოლფისა და საჩოგბურთო ტურნირებს გამართავს, ყოველი სეზონის ბოლოს კი თავად მოაწყობს საღილსა თუ წვეულებას.

რაფტერის ფონდისგან დახმარებას პირველად „ქუჩების ახალგაზრდობის“ პროგრამა მიიღებს, რომელიც უსახლკარო და ნარკომანი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

ᲐᲗᲘᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ინგლისი

გადადებული მატჩები

ასტონ ვილა 1:2 ლიდსი
0:1, 0:2 ჯიმი ჰასელბაინკი (8, 31), 1:2 შიმეცა (76)

ჩელსი 1:1 გლეძბერნი
1:0 მორისი (44), 1:1 უორდი (83)

ევერტონი 5:0 მიდლსბრო
1:0, 2:0 ბარმბი (1, 16), 3:0 დაკურტი (61), 4:0 მატერაცი (67), 5:0 ანსუორსი (73)

მანჩესტერი 1:1 არსენალი
0:1 ანელკა (48), 1:1 კოული (60)

ნიუკასლი 4:1 ქოვენთრი
0:1 ვილანი (18), 1:1 შირერი (19), 2:1 სპიდი (55), 3:1 საჰა (58), 4:1 შირერი (75)

ლიგის თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

ლუტონი 1:1 სანდერლენდი (2:1)
0:1 ქუინი (34), 1:1 კოტი (54)

ჰოლანდია

გადადებული მატჩები

ჰერენვენი 2:2 აიაქსი
1:0 ოლისე (4სს.ჯ.), 1:1 ბაბანგიდა (50), 1:2 ოლისე (53), 2:2 პალპლატსი (81)

ნაიმეგენი 0:3 ტილბურგი
0:1 ბომბარდა (27), 0:2 ოსტერჰოფი (46სს.ჯ.), 0:3 რამზი (89)

ვალვაიკი 0:0 სიტარდი

ვიტესი 3:1 ბრედა
1:0 მახლასი (23), 1:1 სიეკოვი (30), 2:1 ვან ჰინტუმი (41), 3:1 ამოაჰი (76)

შოტლანდია

გადადებული მატჩი

სელტიკი 1:0 კილმარნოკი
1:0 რისეტი (49)

იტალია

თასის ნახევარფინალი.
პირველი მატჩი

ინტერი 0:2 პარმა
0:1 ვერონი (76), 0:2 ბალბო (86)

ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი.
პირველი მატჩები

რასინგი 2:6 რეალი
1:0 გუტი (8), 1:1 ვიქტორი (9ჯ), 2:1 მუნიტისი (13), 2:2 იერო (31ჯ), 3:2 ზეედორფი (36), 4:2 სავიო (40), 5:2 გუტი (45), 6:2 ორიენტესი (90)

მალიორკა 1:1 დეპორტივო
0:1 ჯალმინია (55), 1:1 დანი (72)

ატლეტიკო 2:1 ესპანიოლი
0:1 მარტინ პოსე (35), 1:1 კორეა (58), 2:1 ჟუნინიო (84)

თურქეთი

თასის ნახევარფინალი.
პირველი მატჩები

საქარია 2:1 გალათასარაი

ანკარაგიუჯუ 0:1 გეშიძთაში

REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — არსენალი 1:1. მანჩესტერელთა ტრინიდადელი ფორვარდი დუაიტ იორკი არსენალელი ფრანგის, პატრიკ ვიეირას ჩამოტოვებას ცდილობს

გრინის უნაყოფო მცდელობა



REUTERS მადრიდიდან

მადრიდის „ჭერქვეშა“ ასპარეზობის წინ, ამერიკელმა მალემსრბოლმა მორის გრინმა 60 მეტრზე ერთი წლის წინ იქვე დამყარებული თავისი რეკორდის — 6,39 წმ — დამხობა დაიქადნა, თუმცა ეს ქადილი შემოდგომის ქუხილივით უნაყოფო აღმოჩნდა. მართალია, ფინიშის ხაზი გრინმა ისევ პირველმა გადაკვეთა, მაგრამ იმ დროისთვის ციფერბლატს უკვე 6,49-მდე მოესწრო ასვლა. „სანამ კალიფორნიიდან აქამდე ჩამოვაღწიე, ჩემი დამემართა. დაბალი შედეგიც სწორედ დაღლილობის ბრალი იყო“, — თავისი მცირე წარუმატებლობა კეთილ მორისს ამგვარად განუმარტავს.

REUTERS ნიუ იორკიდან

სინათლე ლანის თვალებში

ჩინელი ტანმოვარჯიშე სანგ ლანს ბედმა შარშან ნიუ იორკში მიმდინარე „კეთილი ნების“ თამაშებზე უმტყუნა. ერთი უცნაური მალაყის შესრულებისას ლანმა თავისი პატარა ხერხემალი დაიზიანა და აქტიურ სპორტს, ისევე, როგორც აქტიურ სიარულს სამუდამოდ დაემშვიდობა... გუშინ ნიუ იორკის „იმფაია სტეიტ ბილდინგზე“ ახალი წლის ჩინური „ვერსიის“ დადგომასთან დაკავშირებით უთვალავი ნათურა უნდა აენთოთ... ლანის ნაღვლიანი თვალები იქნებ ამ დიდ სინათლეს მაინც გაენათებინა.

ათას კორტზე გადამხტარი

REUTERS ნიუ იორკიდან

თუკი ვინმეზე შეიძლება ითქვას, რომ ათას კორტზე გადამხტარა ჩოგბურთის დედოფალყოფილი ბილი ჯინ კინგი ერთი იმათგანი უნდა იყოს. და მერე რა, რომ ბიცოლა ბილი ახლა ისეთ ასაკშია, როცა ქალს ჩოგნის ქნევას მაჭკატების ცხობა ურჩევნია. მას ახლაც ისევე აჯილდოებენ, როგორც ამ მეოთხედი საუკუნის გადაღმა... მაშ ასე: ბილი ჯინ კინგს გამორჩეული ჯილდო „ქალთა სპორტის დაწინაურებისა და უბრალოდ კაი ქალობისთვის!“

გვიანი ჯილდო ჟანდარმისთვის

REUTERS პარი ზიდან

დიახ, ეს ის დანიელ ნიველია (მარჯვენა ფოტოზე), 21 ივნისს იუგოსლავებთან 2:2 ფრის შემდეგ გერმანელ ფანებს რომ კინაღამ შეეწირა. „მუსიე ნიველ, ღმერთმა იღბალი მოგცეთ, ჩვენგან კი, აი, ეს სამხედრო ჯილდო მიიღეთ“, — საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის, ალენ რიშარის (მარცხენა ფოტოზე) ეს სიტყვები ისევე ცრემლისმომგვრელია, როგორც გასული ზაფხულის მოგონებები...

მაგრამ მოგონებები ჟანდარმ ნიველის ყველაზე სუსტი ადგილი ყოფილა. თვენახევრიანი კომის შემდეგ მას წარსულიდან მხოლოდ საკუთარი სქესის, სახელისა და მეუღლის ხსოვნა გამოუტანია. ასე რომ, მაგალითად, კითხვაზე: „რამე ხომ არ გაწუხებს?“, — იგი გაკვირვებული, კითხვითვე გიპასუხებთ: „რა უნდა მაწუხებდეს რო?!“. ერთი სიტყვით — სანამ მუსიე ნიველი მისთვის გადაცემული ჯილდოს ამბავს ბოლომდე გაიცნობიერებდეს, მანამდე კიდევ ბევრი ფრანგი ჟანდარმი გაილახება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29